



ISSN 0130-1624

ეროვნული  
ბიბლიოთეკა




ქვეყნის

ბიბლიოთეკა  
№ 7 1987



თენგიზ აბულაძე



რეზო ჩხეიძე და კინომსახიობი იური ჩეკულაევი



ელენე სოფონოვას  
ავტოგრაფები



უვავილები ლუდმილა გურჩენოსათვის



შეხვედრა კინოსტუდიაში

საქმთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

№ 7 (607), ივლისი, 1987

უფრანალი გამოდის 1928 წლიდან  
ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერატორ-  
სამხატვრო ჟურნალი

1987 წლის 25 ივნისს მუშაობა დაიწყო სკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა. პლენუმის განსახილველად გამოტანილია საკითხი „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

მოხსენების გამო გამართა კამათი.  
საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება.  
პლენუმმა დაამტკიცა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი“.

პლენუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვის გათვალისწინებით გადაშუაებულ-ლი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალა იგი შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

პლენუმზე მიღებულია გადაწყვეტილება სკკ XIX საკავშირო კონფერენცია მოიწვიოს 1988 წლის 28 ივნისს ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სახალდში.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხანაგები ა. ნ. იპაკოვლი და ნ. ნ. სლიუნაოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრებად.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის მდივანი აშხ. ვ. პ. ნიკონოვი სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრად აირჩია.

პლენუმმა აშხ. დ. ტ. იაზოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის წევრად და აირჩია იგი სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა აშხ. ს. ლ. სოკოლოვი გაათავისუფლა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან ცენტრალური კომიტეტის წევრად გადაიყვანა ამხანაგები ლ. დ. ბრიზა — ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობა-კომბინატის „ილიჩის ხსოვნის“ მანქანური წველის ოპერატორი, ნ. ა. პავლოვი — ტიუმენის ოლქის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ნავთობ-გაზის მომპოვებელი სამმართველოს „სურგუტნავთობის“ ოპერატორი.

პლენუმმა სკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა აშხ. დ. ა. კუნაევი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად ყოფნის დროს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

სურათზე: სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუშვიდ სესია.



ნომერშია:

ლია მარტაშვილი — გზა საწარმო-საკენ მიდის

ლალი მიგრიაული — ახალგაზრდები ფიქრობენ, გეოგენ...

გიორგი ლეგანიძე — ამხანაგი გუბარნატორი

ტრემლს მგვრიდა სიმაღლე თქვინი! ვახტანგ ბერიძე — მცხეთის ჯვარი

წაუკითხეთ პატარებს — აბრეშუმის შიკა

ტიგორ ჩიჩუა — თაობები და მოღა გურამ ბასიტაშვილი — მემოგროგა

გზად და ხიდად ეთერ რაქვიაშვილი — გკითხველთა თხოვნით

ლევ ტოლსტოი — აღდგომა (ნაწყვეტი რომანიდან)

ნათელა გიორგოზიანი — მეცნიერი მშობლიურ რაიონში

პანს დალკე — სინანული

სიხლეუთა პანოკრაპა

ნატო მამისაშვილი — წინ დიდი გზა...

პროსკოროდ

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.


მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინცლაძე

სარედაქციო კოლეგია:


გულნარა ბახტაძე (პ/მგ მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვებტაძე, ნათელა გიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურგიშვილი, ვახტანგ ენგანაძე, ვასილ მშველიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უკა ჯაფარიძე.

საქართველოს  
კავშირის  
გამომცემლობის  
ბიბლიოთეკა



ნაკვეთი

ლია მარტაშვილი



ს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ირმა შანიძე — გემოვნებით ჩაცმული, ელგანტური გარეგნობისა, ვერაფრით დაიჯერებს, რომ იგი მეცემენტეა, ყველაზე მტვრიანი საწარმოს ერთ-ერთი მუშაკადა, თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი რუსთავის ცემენტის ქარხანაში რომ გაატარა.

ოცდახუთი წელი ერთთავად ახმაურებულ, ცემენტის გამო-ნაბოლქვით სავესტამენტოზიანებელ გარემოში, ერთსა და იმავე უტყვე დახანდავრებთან... და ყოველდღიურად ერთი და იგივე გზა სახლიდან ქალაქკარეთ, კარგა მოშორებით... ირმასთან ერთად საწარმოში რომ მოვიდნენ, იმათგან დღეს მის გვერდით თითქმის აღარაფერია.

...გზა საწარმოსაკენ მიდის. კარგა დიდი მანძილია ქარხანამდე და ფეხრისთვისაც რჩება დრო. ირმას მუშური ბიოგრაფიის ტოლია საწარმო. იცის ირმამ, ადამიანებით თავისი ბიოგრაფია აქვს მასაც. მის არსებობაშიც არის სიხარულისა თუ გაჭირვების, გაუთავებელი ორთმტრიალსა თუ სიწყნარით გამორჩეული დღეები. ამ დღეთა შემოქმედი ადამიანები არიან და მათზეა დამოკიდებული ქარხნის აწყობა და მომავალი.

საწარმოს წარმატებებს ჰყავს თავისი გამორჩეული ავტორები. ირმა შანიძე, თვითონ მეცემენტეა აღიარებით, პირველია.

მშობლიურ ქარხანაზე უსაზღვროდ გულშემატკივარ კაცს უნარი აქვს თანამოსაქმეთა აყოლიების, მათი დაჯერებისა და იმგვარად დამუხტვისა, რომ ყველას საერთო საქმის წარმატების სურვილი და ერთმანეთთან გაჭიბრების წადილი ამოძრავებდეს.

ამ ორი წლის წინ, საოქტომბრო ვახტზე რომ იდგნენ მეცემენტეები, სერიოზულმა ავარიამ სწორედ მაშინ გამოიყვანა პირველი მძრუნება წისქვილი მწყობრიდან. ქარხნის დირექციის გადაწყვეტილებით, ავარიის ოპერატიული ლიკვიდაცია სპეციალურ სარემონტო ბრიგადას დაავალეს. მექანიკოსთა ცდა უშედეგო გამოდგა. პროდუქციის გადასაწოდებელი მალი ისევ ვატყდა, საქმემ მექანიკური სამსახურის ბრიგადის წევრთა ჩარევად და ნახაზის შედგენა მოითხოვა, დამის ცვლის დაწყებამდე წისქვილი უნდა ამუშავებულიყო. ბევრი იწვალეს კვალფიციტორმა ზეინკლებმა და შემდგომელებმა, მაგრამ საქმეს მაინც არ დაადგა საშველი. საშვიდნომბროდ აღებული გეგმის შესრულება სათუო ხდებოდა.

შელამებული იყო, ირმა სამუშაოზე რომ მივიდა. გზაში წისქვილის ამბავიც შეიტყო. ადგილზე მისულმა ყურადღებით ახედდა ყველაფერს. იფიქრა ცოტა ხანს და მალა, მეორე სართულზე ასულმა ბეტონის სქელი ფენის განგრევა დაიწყო. ექსკავატორის ტროისის ჩაშვება და მერე ამ გზით დაზიანებული მალის აღდგენა უფრო იოლი საქმე იქნებოდა. მეწისქვილე ნ. ბიძინაშვილი იყო იქვე ახლოს, მიიხმარა და ორივემ საათნახევარში წისქვილი აამუშავეს.

მთავარი დისპეტჩერის საკონტროლო დაფაზე საგანგაშო წითელ შუქსა და ხარის დაჩეკვას ხმაშალილი გაფრთხილებაც მოჰყვა, აკი ვითხართ, პირველი წისქვილი დაზიანებულია და არ

გაუშვავთ-მეთქი. ხუთი წუთის მერე მაინც მიიბრინა დისპეტჩერმა ადგილზე და გოცებულმა თვალბს არ დაუფერა — წისქვილი შეუფერხებლად მუშაობდა.

მეორე დღეს ირმა შანიძეს დირექტორის პირადი მადლობა გამოეცხადა. მთავარი კი ის იყო, რომ საოქტომბრო გეგმა კოლექტივმა დათქმულ ვადაზე შეასრულა.

ამგვარი დღეები ბევრია ირმა შანიძის შრომით ბიოგრაფიაში. იგი შემოქმედებითად, მთელი ვატაცებით შრომობს. ამის დასტურად ერთი მაგალითიც იქმარება.

...მის სამუშაო უბანზე, დაფქვის საამქროში, 7 წისქვილია დამონტაჟებული. წისქვილიდან წისქვილამდე 7-8 მეტრია, ეს მანძილი მუშამ დანლობით 350-ჯერ უნდა გაიაროს დღეში. თანაც კიბით უნდა ავიდეს და ჩავიდეს, ვინ იცის, რამდენჯერ.

ირმა შანიძის წინადადებით წისქვილების ფუნდამენტებზე გაკეთდა სპეციალური გადასასვლელები, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მუშის ფიზიკური დატვირთვა და დაზოგა დრო. წლიდან წლამდე ირმა შანიძის ავტორობით ოთხი-ხუთი რაციონალური წინადადება მაინც ინერგება მთელ საწარმოში. მან კვალიფიციური ინჟინრის დონეზე იცის ყველა ტექნიკური კვანძი და ტექნოლოგიური ოპერაცია. საჭიროების შემთხვევაში ზეინკალიცაა, მექანიკოსიც, შემდგომელებიც, სამართავი პულტის ოპერატორიც.

რიგითი მუშიდან დაიწყო და გზამ უფროს ოსტატობამდის ყველაფერი საფუძვლიანად ასწავლა, ზუსტად გაარკვია საქარხნო საქმიანობაში.

დღეს დაბრძენებულსა და გამოცდილს ყველაზე მთავარი მაინც ადამიანებთან ურთიერთობა მიხნია. განსაკუთრებულ ზრუნვას კი ახალგაზრდები მოითხოვენ. და აქაც ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: არ ახსოვს ოდესმე მისთვის რომელიმეს უბრალოდ მარტო სახელით მიემართოს. „უფროსოს“ ეძახის დიდი და პატარა. იცის, თავისუფლების საშუალებას არ მისცემს, მაგრამ მაინც მასთან მუშაობა ურჩევნია ბუნებით ყველაზე ხელგამოუღებელსაც კი.

სხვა საამქროში ნ. საგინაშვილს ძლიერ რომ ემდუროდნენ, ირმას ბრიგადაში მოხვედრილმა, მოწინავის სახელი მოიხვეჭა, მამაშვილური რჩევითა და დარდებით ასწავლის ახალგაზრდას ქუქას, უჭირს და მის გასაჭირს იზიარებს, მხარში ამოუდგება, სიტყვითაც წაუშველება და საქმითაც. არ ახსოვს, რაც დამრიგებელი ჰქვია, რომელიმე აღზრილს დაელაღტებინოს, შრომაში შეერცხვინოს. რაღაცნაირი ხათრი აქვს ყველას მისი, ეამაყებათ და ეიმედებათ უფროსი მეგობარი, ეხლობიან.

ამჟამად ცემენტის დაფქვის საამქროში ათკაციან ბრიგადას უდვას სათავეში უფროსი ოსტატი. ა. ჭრელაშვილი, ბ. იბრაგიმოვი, ა. ნოზაძე, ნ. საგინაშვილი, მ. დათუკიშვილი, ქ. კაპანაძე, თ. გუგუჩაშვილი, ხ. ალიევი, ჯ. ჯილაძე, ე. ზეინკლიშვილი ერთ მონოლოთურ ოჯახად არიან შეკრულნი და საამქროში პირველობას არავის უთმობენ.



ფოტო რაულენ გაბრიჭიძისა

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ბრიგადის ყველა წევრისთვის ერთნაირადაა საზრუნავი. მუშაობაში გარდაქმნის სწორედ ამ საზრუნავს უკავშირებენ მეცემენტეები. მასობრივ სუბსიდებლობით ცდილობენ რუსთაველი ცემენტსა და სხვა პროდუქტების სამარჯო ღირებულების აღდგენას. საამისოდ საჭირო პირობებიც არსებობს ქარხანაში — მეთერთმეტე ხუთწლედის დასასრულს ჩატარებულმა გენერალურმა ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ სახე უცვალა საწარმოს. ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მასალების არარტიმული მომარაგება ზოგჯერ მაინც აფერხებს კოლექტივს.

საამქროს პარტიულროს მდივანმა, საქარხნო პარტიული კომიტეტის წევრმა და რუსთავეის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ირმა შანიძემ კოლექტივის წევრთა სხვა გასაჭირიც იცის — მშრომელთა სამართლიან პრეტენზიებს ქუჩებისა და მიდაკვარტალური გზების კეთილმოწყობაზე, ქალაქში საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გარდაქმნაზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესებაზე, სამუშაოროდ, დროულად როდი ადგება საშველი. ხშირად მუშის სამართლიანი თხოვნა უპასუხოდ რჩება. მათი საბუშუაო გუნება-განწყობილების შეცვლასაც სწორედ ეს იწვევს. მაგალითად, თვითონ ირმა შანიძემ სათანადო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან მრავალჯერ დასვა საკითხი ფალიაშვილის ქუჩაზე, 27-ე ბაგა-ბაღთან მისასვლელი გზის შეკეთებაზე, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

მკვეთრ გარდაქმნებს მოითხოვს რუსთაველ მეცემენტეთა საცხოვრებელი პირობები. ამ მიძიმე პროფესიის ადამიანებისათვის გარკვეული შეღავათები უნდა არსებობდეს ბინების განაწილების დროს. საჯარო ღონისძიებებზე კომუნისტი ყოველთვის გულახდილად ლაპარაკობს გადაუტრელ პრობლემებზე, საწარმოს ახალგაზრდების სახელით ითხოვს, რომ დროულად დაადგეს საშველი ქალაქში ახალგაზრდული კლუბის გახსნას, მოზარდთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოედნებზე სისტემატური ვახდეს სპორტული წვრთნა, რაც გარკვეულად ხელს შეუწყობს თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას და შეამცირობს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს ქალაქში.

ასეა საწარმოშიც. ირმა შანიძე თვითონ მიღის დირექტორთან, საამქროს უფროსთან, პარტიული კომიტეტის მდივანთან და კონკრეტული წინადადებით ამბობს მუშაკაცის სათქმელს. წარმოების საშუალო რგოლის მუშაკს მიაჩნია, რომ ახლა ყველაზე პრობლემური საკითხი მუშათა კვალიფიკაციური კადრების აღზრდა და მათი იდეურ-პოლიტიკური ცოდნით აღჭურვაა. თაობათა ინტენსიურმა ცვლამ საწარმოში გამოცდილი კადრების დეფიციტი რომ არ გამოიწვიოს, ახალგაზრდები ახლავე უნდა აღიჭურვონ მყარი პროფესიული ცოდნით, პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მათი პოლიტიკური მომზადებისთვისაც უფრო მეტს უნდა აკეთებდნენ ეკონომიკური და პოლიტიკური განათლების სკოლები. დადგა დრო, ამ სფეროში ფორმალისმმა და მხოლოდ მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვიანობამ გზა პრაქტიკულ საქმეებს დაუთმოს.

საფიქრალი და საზრუნავი სხვაც ბევრი აქვს ირმას. მაგრამ ამ ყველაფრის იქით მიაჩნია, რომ პიროვნება მაინც უშუალოდ მინდობილი ადგილიდან, უბნიდან, საქმიდან კოლექტივთან ურთიერთობიდან უნდა იწყებოდეს... და ამ საზომითვე იზომებოდეს მისი მოქალაქეობრიობა, კაცური კაცობა.

საწარმოს ყველაზე რთული უბნის დაფქვის საამქროს პირველი ბრიგადის უფროსი ოსტატი თავისი მოუსვენარი გულით, გონებითა და ხელებით სწორედ იმისი მაგალითია, როგორიც შეიძლება იყოს ღირსეული კომუნისტი და ინიციატივიანი, ცოცხალი, ლაღი აზრის პატრიოტი მოქალაქე. მას უნარი შესწევს მასების გაყოლებისა.


ირმას სრული პორტრეტის დასახატავად კი უნდა ვთქვათ, რომ იგი საუკეთესო ოჯახის თავკაცია, ყოფა-ქცევით გამორჩეული, სწავლაში წარჩინებული სამი შვილის მამა, ერთდროულად, საიმედო მეგობარი — მეგობრისათვის, საყვარელი მეზობელი — მეზობლისათვის, ჭირში და ლხინში თანამდგომი, ყველა კეთილი კაცის გზის მასწავლებელი.

ამ სანაქებო მუშაკაცს დღეს შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენები უმშვენებს ჭკერდს. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის კი მას სულ ახლახან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

შრომის სიყვარული, რომელიც ბავშვობიდანვე ცხოვრების რწმენად გაიხადა ირმამ, კვლავაც დამსახურებულ აღიარებას ჰპირდება მას.







— ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტი შედეგია. ეროვნული, ხალხური მუსიკალური ინტონაციებისა და კომპოზიტორის შთაგონების საოცარი შერწყმა, — აღლევებულმა შენიშნა ვლადიმერ სტაროსელსკიმ. — ეს ხმა კი განუთქორებელია, უნიკალური!

— დიახ, დიახ, შესანიშნავია, პირდაპირ ლეთაებრივი! — გაისმა ალტაცებული შეძახილები.

— ზოგიერთნი ბრძენები ამბობენ, — დაიწყო ილიამ, — თითქოს მუსიკის გაგება რჩეულთა ხვედრი იყოს. ეგ იმას ემგვანებოდა, რომ კაცს კაცმა მეტყველების ნიჭის უქონლობა შესწამოს, როცა, ვსთქვამთ, ბაირონის ლექსს ინგლისურად უკითხავდნენ ამ ენის არამცოდნე კაცს და ამის გამო არამცოდნე კაცი კითხვის დროს თვლებში იყოს, როცა სხვანი ალტაცებული არიან.

— ხალხური მუსიკა მისი შემქმნელების გენიალობის დასტურია, — დასძინა იაკობ გოგებაშვილმა.

— მართალი ბრძანდებით. — რა დამავეწყებს 1886 წლის 15 ნოემბრის ბედნიერ დღეს თეატრში, როცა ქართულმა ხორომ ბატონ რატილის ლობჯინაძის იგალობა თეატრში ნოტებზედ გადაღებული ქართული საერო სიმღერები. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმა კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც ჩვენი ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა. დიდი მადლობა გვმართებს ბატონ აღნაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა, ხოლო შეჰყარა, გავიმართა ქართული კონცერტი და დაგვატყობ იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპრნი...

— დაიხსოვით, ბატონებო და ქალბატონებო, ზაქარია ფალიაშვილი იტყვის თავის სათქმელს, — მგზნებარედ ბრძანა ილიამ და მეგობრულად მოეხვია კომპოზიტორს. — ჩვენი ვანო კი, რა უნდა ვთქვა, ჩამდვლი ბუღბუღია! — შემდეგ, თითქოს თავისთვის ამბობსო, სინანულითა და ხალვლიანად ჩაილაპარაკა: — თითო-ორიოლა ახალგაზრდას თუ აქვს ფართო განათლების მიღების შესაძლებლობა. თუმცა მშვენიერი და ნიჭიერი შთამომავლობა გვეზრდება.

— ჩვენ ყველანი ხალხის განათლების იდეით ვართ შეპყრობილნი, — დასძინა იაკობ გოგებაშვილმა, — მაგრამ რა დასაძაღია, რამდენი დაბრკოლებაა ამ გზაზე, თუნდაც ენობრივი.

— დიახ, დიახ, სწორია! მართალი ბრძანდებით, იაკობ სემიონოვიჩი, — წამოიწყო ვლადიმერ სტაროსელსკიმ. — მე თავად ვახლავართ ცოცხალი მოწმე იმისა, თუ რა ზიანი მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის ენობრივ ჭებორებს. მოსახლეობა მოკლებულია ელემენტარულ შესაძლებლობას თავის მშობლიურ ენაზე ჰქონდეს ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ეს კი კიდევ უფრო აღრმავებს მათ შორის უფესურულს. მდებრი ხალხისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია მართლმსაჯულების ორგანოებიცა და სახელმწიფო დაწესებულებებიც... თუმცა, განა მართო ეს... — ხელი ჩაიქნია ვლადიმერ სტაროსელსკიმ.

— ბიძათქვენი დიმიტრი, — უპასუხა იაკობ გოგებაშვილმა, — რუსი ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. იგი ბრძანებდა:

— სკოლამ უნდა აამაღლოს ხალხი გონებით, ზნეობით, კეთილდღეობით და ამით შეეწიოს თვით სახელმწიფოს დიდებას. თუ ამ მაღალ მიზნის მიღწევას დაუშლის რუსული ენის სწავლება, მოგვასხენეთ და ჩვენ შეგვიძლიან მომეტებულიადაც შევუძლებუქით სასოფლო სკოლას ეს ვალდებულება.

— რა თქმა უნდა იგი სრულიად გამოიციხავდა ხალხისათვის მშობლიური ენის ძალით წართმევას, გარუსების გზას, — შენიშნა სტაროსელსკიმ.

— მართალია! — კვლავ გამოეხმაურა გოგებაშვილი, გეგერალი სტაროსელსკი სახელმწიფო აზროვნების ადამიანი ვახლდათ, კაცთოყვარე გული ჰქონდა, უყვარდა საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომლის ასულმა მიანიჭა მას ოჯახური ბედნიერება, ზედმიწევნით ესმოდა ქართველი კაცის გასაჭირი, მისი ტკივილი.

— მე კარგად დამამახსოვრდა მისი სიტყვები, — ჩაერია ილია: — „მე მზად ვარ ჩემი შესაძლებლობისდაგვარად შევამსუბუქო საქართველოში სოფლის სკოლის ამოცანა, ქართული და რუსული ენების გონივრული შეხამება“.

— ეს სწორია, — დასძინა იაკობმა. — მე იმის მტკიცე მომხრე ვარ, რომ ყოველმა ქართველმა დედაენის გარდა რუსული ენაც იცოდეს, მაგრამ კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ იმისა, რომ ამ საკითხში რაიმე ძალდატანებას ჰქონდეს ადგილი.

— შენ, ჩემო იაკობ, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანი ჩვენში რუსული ენის გავრცელების საქმეში, — შენიშნა აკაკიმ, — „დედა ენასთან“ ერთად მშვენიერი სახელმძღვანელო დაუწერე რუსულის შემსწავლელ ქართველებს.

— რაც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, კვლავინდებურად აუხდენელ ოცნებად რჩება იმ დროის დადგომა, როცა ჩვენს მხარეში რამდენიმე ათეული განათლებული აგ-

რონომი გვეყოლება, — კვლავ დაუბრუნდა თავის აზრს ილია. — აი, უკვე მერამდენედ ვსვამთ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, სახსრების შეგროვებაც კი დაიწყო. ხელისუფალნი კი გვეუბნებიან: „არ შეიძლება, ეს მეთამბოხებელი ჯიშის კერა იქნება“.

— ხუთუ ქართველი ხალხი, რომელსაც ვერ კიდევ შეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში გელათის, გრემისა და იყალთოს აკადემიები ჰქონდა და შოთა რუსთაველი შვა, უნივერსიტეტის ღირსი არ არის?!

— იქნება, ძვირფასო იაკობ სემიონოვიჩი, აუცილებლად იქნება! თუ მხედველობაში მივიღებთ, რა სწრაფად ვითარდება ქართველი ხალხის მართლმწებება, რასაც უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ვამჩნევ აქ და მთელ რუსეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეგ დღე არც ისე შორს არის, — ღრმა რწმენით წარმოთქვა სტაროსელსკიმ. შემდეგ კი მტკიცედ განაგრძო:

— პატივცემულო იაკობ, მე მწამს, რომ ბავშვები, რომლებიც დღეს თქვენი „დედა ენით“ იღვამენ ფენს, უმაღლეს განათლებას თბილისის უნივერსიტეტში მიიღებენ. მათ სულ სხვა ხანაში, სხვა პირობებში მოუხდებდათ ცხოვრება და სწავლა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიტყვებმა თითქოს ყველანი ოცნების საუფლოში გადაისროლა.

— ბატონებო, დიადი განახლების მზე მალე ამობრწყინდება, მისი სხივები უკვე კიაფობს ჰორიზონტზე! — აღლევებულმა წარმოთქვა იული ალექსანდრეს ძემ და ზეპირად წაიკითხა პუშკინის ლექსი:

მერწმუნე, ძმაო, ამობრწყინდება  
ვარსკვლავი წარმატებულების,  
რუსეთი ძილით გამოფხიზდება  
და ნანგრევებზე თვითმპყრობელობის  
დაიწერება სახელი ჩვენი!

— ჭეშმარიტად, რამდენ შესანიშნავ ადამიანს შობს კიდევ ჩვენი მიწა-წყალი, რამდენ გმირს მიაქვს დღეს თავისი სიცოცხლე მაღალი ადამიანური იდეალების სამსხვერპლოზე...

აქ მოსაუბრეებს უნებურად გაახსენდათ გურიის დრამატული ამბები.

— ყველანი უნდა გადაველობოთ გურიაში რუაქციის თარეშს, — შენიშნა ვილაცამ.

— მართალია! — მყისვე დაუჭირა მხარი ვლადიმერ სტაროსელსკიმ, — თორემ მდინარედ დაიღვრება სისხლი ადამიანებისა, რომლებსაც ერთადერთი რამ — თავისუფლება და თანასწორობა სწყურიათ!

ამ სიტყვებმა მასპინძელს გაახსენა თავისი პოემის ნაწყვეტი:  
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრივალის ქროლვას,  
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი  
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —  
და დამხმარევა იგი ბორკილი  
შეფერხებელი კაცთა ცხოვრების  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდება.

დუმობა დაისადგურა. ბევრს თვალს ცრემლი მოადგა.

— ღმერთმან ჰქმნას, რომ მალე მოხდეს — ლოცვასავით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა.

— განა ამ ნატვრა-სურვილს არ ეხმაურება „ინტერნაციონალი“? — წამოიძახა აკაკიმ და წამოიწყო.

უნდა მტერი დავამარცხოთ, ძალმომრევი, უსამართლო!  
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო, საპირფერო, ან სამადლო?  
ეს იქნება საბოლოო შეტაკება მწარე ომი...  
და, თუ ვსძლეოთ, ჩვენთან ერთად გაიხარებს ყველა ტომი.

— აღარ ეშვები, აკაკი, ამ შენს ინტერნაციონალს? განა არ გეყო, რაც ჭვარს გაცვეს ამის გამო? — გაეცინა იაკობ გოგებაშვილს.

საქმე ის იყო, რომ აკაკიმ ქართულად თარგმნა „ინტერნაციონალი“. სიმღერა ფართოდ გავრცელდა მთელს საქართველოში. ამან მეფის მოხელეები დიდ საგონებელში ჩააგდო. უმაღლეს ხურეს „პატარა გზით“, სადაც პირველად დაიბეჭდა აკაკისეული თარგმანი. ხოლო თვით მთარგმნელი პასუხისმგებლობაში მისცეს. აი რა იყო ნათქვამი ამის თაობაზე კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოხსენებით ბარათში თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის სახელზე:

„...განვიხილოთ რა ახლად გამოსული ყოველდღიური გამოცემა, — „პატარა გზით“, აღნიშნავთ რომ „მარსელიურის“ მოტივზე დაწერილ ლექსში „ინტერნაციონალი“, ხელმოწერით „აკაკი“ და დასტამბული გზებითს პირველ ნომერში, ამა წლის პირველ იანვარს, გამოხატულია არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამხობის აშკარა მოწოდება“.



თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული კინოს მოღვაწეთა — ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას არქივში უურნაღისტმა დავით ბუზუაშვილმა მიაკვლია და „დროშის“ რედაქციას მოაწოდა ორი საინტერესო დოკუმენტი: ბორის პასტერნაკის წერილი ნატო ვაჩნაძისადმი, რომელშიც დიდი რუსი მწერალი შთაბეჭდილებებს უწიარებს ქართველ კინოვარსკვლავს მის მიერ დასტამბულ მოგონებათა წიგნზე და ცნობილი მხატვრის ვალერიან სიდაშონ-ერისთავის ესკიზი ნატოს მთავარი როლისათვის კინოსურათში „ნათელა“.

## ბრემლს ეგვიპტე სიმაღლე თქვენი!

### 31. XII. 49.

ვირფასო ნატალია გიორგის ასულო!.. რა ნიჭიერი ხარო და რა იშვიათი ჯიშისაა ეს ნიჭი! რა რიგ შეუპოვარი და კლემანოსილი! ასე ვამბობ, რადგან ნიჭიერ ადამიანთა უმრავლესობას რაცხენია ზნეობრივი მემკვიდრეობისა და ზმირად სიმხდალის გამო თავს იფუჭებს. ამიტომაც, სიყმაწვილისა და ოჯახის ერთგული ნიჭიერების მავალითები გამონაკლისია და გმირობას უდრის.

არ ტყუით, რომ ცდილობთ, მაიაკოვსკისა და შენგელაიას დახასიათებისას მთელ თაობას მიანიჭოთ უმლოქვენლო გულახდილობისა და ცრუ აზრთაგან. ჭაბუკური თავისუფლების თვისებები. მართლაც, იყო დრო, როცა, შესაძლოა, ასეც მოგვჩვენებოდა, თანაც, რევოლუციურ მემკვიდრეობითობას მოყვავდით აქეთგან — დოსტოვესკის უკიდურესობებს, ტოლსტოის გამარტყვებებს. თამცა... ეს ვადახვევა უკვე საჭირო აღარაა.

საუცხოოდ წერთ, ისე, როგორც უნდა წერდნენ საუკეთესო მწერლები და, რაც მთავარია, ამას თხრობის საგნისადმი ზინის მიუყენებლად აკეთებთ. კარგად წერის უნარი, ენა და სტილის გრძნობა, ჩვეულებრივ, გვაშორებს აღსაწერ ობიექტს და თვითმიზნად იქცევა ხოლმე. თქვენ კი სტილისტიკას არ დაემორჩილეთ. და აქ კვლავ ჭადაგარჩინათ სიკეთემ და სხვა ამქვეყნად დიდი ხნის წინათ გაქვლავნებულმა სულიერმა ღირსებებმა — ალბათ, ყოველივე იმან, რაც საფუძვლად უდევს გემოვნებას: მოყვასის სიყვარულმა და მადლიერებამ წარსულისადმი სწორედ მისი ბრწყინვალეობისათვის... ჰოდა, აბა შეხედეთ, როგორი მოგებული ხართ სწორედ იმით, რაც ყოფილი ნამდვილი ხელოვნების ერთადერთი ჭეშმარიტ გამარჯვებას წარმოადგენს!

სულ უფრო მეტად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ადამიანები ერთმანეთისგან უნარიანობის დონით განსხვავდებიან და როს ეტიროდი თქვენი წიგნის ზოგიერთი ფურცლის კითხვისას (ეს შეეხება „ჩემს თავგადასავალს“ და „ეგროპაში მოგზაურობას“), ცრემლს მგვრიდა სიმაღლე თქვენი, იმის მიუხედავად, თუ რას გვიამბობდით.

ძალიან კარგა წერთ მამაზე, ზაფხულის მთვარიან ღამეზე კახეთში, ბაღობის პირველი შეგარძნებებისა და მშობლიური კერის სიყვარულზე, „გრძელ კახურ მრავალუამიერზე“... თქვენ ამატირეთ 14 წელს ბერგულაზე მოგზაურობის გამალებული თხრობის სწორედ რომ გონივ-

რული მოჭრით, რამაც მრავალი მნიშვნელოვანი და საბედისწერო ამბავი შეგვატყობინა. ნიჭი თავად არის სისხარტის წყარო, რადგან ისეთივე თვალმისაწვდომი და ცხადია, როგორც სამხილი. თითქმის ხედავ. სულის ნაკეცია. თვალში ისევე გეცემა, როგორც ნაოჭი ლაბადაზე. რაც ზომით მოდილოა ან ძალზე ბევრი, ისეთი არაფერი მწამს. ქალები შობენ ადამიანებს და არა ციკლოპებს. გივანტურია მხოლოდ არაორგანული, არარაობის კოსმოსური სივრცეები, სიკვდილის სიცარიელე, სიმანჩისა და წაბილწვის მომაკვდინებელი საწყისები.

მეორე ნაწყვეტი, რამაც ცრემლი მომგვარა, ის არის, რომ ერთდროულად მოხდა თქვენი გათხოვება, გიმნაზიის დამთავრება და პირველი ანგაჟემენტი. ერთ სტრიქონში ამის ასე მიმზიდველად ჩატევა მხოლოდ იმიტომ მოხერხდა, რომ ცხოვრებამ ისინი ოდესღაც ერთმანეთს ასე მიმზიდველად დაუახლოვა. ძალიან კარგია, როდესაც კინოკადრების ნახვის დროს სურვილი გიჩნდებათ ეკრანზე ახვიდეთ და გაასწოროთ, ახლებურად შეასრულოთ როლი. ძალზე მომეწონა შენგელაიას დახასიათება. მშვენივრად აღწერთ ფლორენციას და ბერლინს. შესანიშნავია (რა თქმა უნდა, შეუცნობელი სხვაგვარად არც გვხვდება) ჩამოყალიბების გრძნობა, თანამიმდევრობის ინსტიქტი, თუ როდის რა გვიამბოთ... მაგალითად, ძალიან კარგია, ცნობას ბავშვებზე თრუსოს ხეობის წინ რომ გვაწვდით. გვხიბლავს მთის ბილიკთა რელიეფურობის დახატვის ბუნებრიობა.

მაგრამ, კმარა!.. ვილოცავთ. და თუ თავმდაბლობის გამო ბოლომდე არ თქვით მთავარი — როგორ გწყალობდათ ბედი, მანათობელი მზე და მიწა (არა საქართველო, არამედ საერთოდ დედამიწა — სამყაროს მიწა), რომელზეც დააბიჯებდით, ეს არც იყო საჭირო, რადგან ამას თქვენი თამაშით აღფრთოვანებული მაცურებელი თავადაც კარგად მიხვდება.

ისე მჯერა თქვენი, რომ როდესაც ზოგიერთმა ფურცელმა ცოტა თავშეკავებული ან გულგრილი დამტოვა, გავიფიქრე, ეს ჩემი სიბეცის ბრალი ხომ არ არის-მეთქი.

ღიას, მართლაც, დიდი ხნის წინათ რალაც ჯეროვნად ვერ შევაფასე და ვერც ჩავწვი გვიანდელ მაიაკოვსკის და სხვა რალაცეებსაც. და რაც ყველაზე უფრო უარესია — საკუთარი საზღვრებით შემოვიზღუდე და შევიბოროკე. ყოველივე ამას ძალიან ვგრძნობ ახლა (ვაცხადებ სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე და არც ვნახობ),



როცა მხოლოდ საკუთარი ნაკლოვანებებით ვცხოვრობ.

და ნათესაობის ღრმა შეგრძნებით, თქვენმა წიგნმა რომ გამიღვიძა, მოგესალმებით და მადლობას გიძღვნით ჩემი წარუმატებელი და გაუმართლებელი ცხოვრებიდან თქვენს წარმატებულ და გამარჯვებულ ცხოვრებაში.

გულითადი სალამი კირა გიორგის ასულს და აკოცეთ ბორის!

თქვენი ბ. პასტერნაკი.

ჰო, მოგილოცავთ ახალ წელს! აღტაცებით გაგისხებთ დღეს. ჩვენთან მოვლენ ფატმა<sup>2</sup> და ნინო.

1 ბ. ანდრონიკაშვილი — ბ. პილიაიკისა და კ. ანდრონიკაშვილის შვილი.

2 ფ. თვალთვაძე — ქართული პროზის მთარგმნელი.





კერძების არჩევანი.




აქ ტკბილეულსაც იყიდით



საზოგადოებრივი კვების კოოპერატივის  
„თელეთის“ გამგეობა



რა გემრიელია!



დღეში ორიათას ცალ ხინკალს ახვევს  
მზარეული ომარ სულაძე


საქართველოს დედაქალაქის მახლობლად — თბილის-მარნე-  
ულის გზატკეცილზე საქოოპკავშირის ექსპერიმენტული საწარ-  
მოს „თელეთის“ ბაზაზე გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი საზო-  
გადოებრივი კვების კოოპერატივი თვითდაფინანსებისა და თვით-  
ანაზღაურების საფუძველზე.

— ამან საშუალება მოგვცა — თქვა კოოპერატივ „თელეთის“  
თავმჯდომარემ გ. ნაცვალაძემ, — შეუფერხებლად ვიყიდოთ  
ხელშეკრულების ფასებით პროდუქცია ბაზარში და სოფლის  
მცხოვრებლებისაგან. გავხსენით საძეხვე და საკონდიტრო საამქ-  
როები, დავიწყეთ წნ ტონა ტევადობის მაცივრის მშენებლობა.

კოოპერატივის წევრები კარგად მუშაობენ და შესაბამისად  
კარგი ანაზღაურებაც აქვთ. საშუალო თვიური ხელფასია 220 მა-  
ნეთი, ხოლო საძეხვე და საკონდიტრო საამქროების, მეცხოვე-  
ლეობის ფერმების მუშათა ანაზღაურება 300-350 მანეთს შეად-  
გენს.

კოოპერატივის ბალანსზეა 1,7 მილიონი მანეთი ძირითადი სახ-  
სრები, ხუთი ავტომანქანა, ავტომალაზია და ფურგონი. წელს  
კოოპერატორებს ნავარაუდევია აქვთ, მიიღონ 350 ათასი მანეთი  
მოგება.

ალგაერტ ვიგნანსკი



ცხეთის ჯვრის სახელგანთქმული ტაძარი ჩვენი ეროვნული ხელოვნების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი აგებულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება თავისი სრული მხატვრული სიმწიფის საფეხურს აღწევს.

მცხეთის ჯვრის ისტორიულ ადგილს განსაზღვრავს მისი უაღრესად მაღალი მხატვრული ღირსებები და სრული ორგანულობა განვითარების პროცესში. ერთი მხრივ იგი წარმოადგენს IV-VI საუკუნეების ქართული „ქრისტიანული“ ხუროთმოძღვრების შედეგსა და მწვერვალს, მეორე მხრივ, თავისი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით, მთელი სისრულით აჩენს ჩვენი ხუროთმოძღვრების ეროვნულ ნიშნებს, რომლებიც მომდევნო საუკუნეებშიც უცვლელი დარჩება, მიუხედავად სტილისა და კონკრეტული ფორმების ცვლისა.

ჩვენ არ ვიცნობთ ტაძრის ხუროთმოძღვრის ვინაობას (ქართველი ოსტატები საერთოდ იშვიათად სტოვებენ წარწერებში თავის სახელს და, სამწუხაროდ, არც სხვა წერილობითი საბუთებით ვართ ამ

ეს პატარა, უგუმბათო შენობა დიდ ეკლესიას ჩრდილოეთიდან ეკვრის, მის ქვეშ კი სამარხი იყო. შიგნით ამ სამლოცველოს ჩუქურთმიანი მორთულობა აქვს, მის საკუროთხეველს კი, საფიქრებელია, მოზაიკა ამშვენებდა.

გავიდა ხანი და მალე საჭირო გახდა უფრო დიდი ტაძრის აგება — „მცირე ჯვარი“ ვეღარ იტევდა მლოცველთ. სწორედ მაშინ წამოიწყო სტეფანოზმა ახალი დიდი ტაძრის მშენებლობა.

მცხეთის ჯვარს ძნელად თუ რომელიმე სხვა ქართული ძეგლი შეედრება პოპულარობის მხრივ. იგი ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა. მისდამი მოკრძალების გრძობას ზრდიდა მისი სიძველე, კავშირი ძველ დედაქალაქთან, იშვიათი სილამაზის მდებარეობა უძვირფასესი ისტორიული ნაშთებით მდიდარ ადგილას, მთაზე, მტკვრისა და არაგვის შესაყართან, ძველი დედაქალაქის — მცხეთის პირდაპირ. თავისი ფორმებითა და მასშტაბით იგი ისეა შეხამებული გარემოსთან, ისეა შეზრდილი მთასთან, თითქოს მისი განუყოფელი ნაწილი იყოს, მასთან ერთად აღმოცენებული. ძველი ქართული ძეგლების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ბუნებასთან ორგანული კავშირი, გარემო „ბუნე-

და კედლების სარკმლებიდან, შესასვლელიდანაც. საკუროთხევლო გემოვნულია სხვა მკლავთაგან — აქ სამი ნაკვეთი მელია. ტაძრის შიგა სივრცეა უკუხედავად წონასწორობისა და ჰარმონიულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა შენობა დიდი არ არის, იგი მონუმენტურია, მარტივი და მკაცრია, მაგრამ არა პირქუში და დამორგუნველი, ამოღებულ განცდებს ბადებს (ეკლესიის შუაში რომ კვარცხლბეკია, სწორედ მასზე იყო აღმართული ზემოთ მოხსენიებული ხის ჯვარი). ასეთივე შთაბეჭდილება გარედანაც.

შენობის გარეგნობა სავსებით შეესატყვისება მის შიგა აგებულებას, ფორმები მკაფიო და ნათელია: სივრცეში შექმნილ ჯვარისებრ მოცულობას ფართოდ გაშლილი რვაწახანგოვანი გუმბათისეული აგვირგვინებს. დინჯი, დამჯდარი პროპორციები, მორთულობის სიძუნწე დამახასიათებელია ადრინდელი შუა საუკუნეების (V-VII სს) ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. მშვენივრად გათლილი ქვით მოპირკეთებული კედლების ფართო ზედაპირები განსაკუთრებულ ძალას მატებს შენობას. ხუროთმოძღვრის დიდნიჭიერებასა და მაღალ ოსტატობას მოწ-

პანტაზვ პერიძე,  
აკადემიკოსი

# საქართველოს ჯვარი

მხრივ განებივრებულნი). მაგრამ ვიცით მისი აგების მოთავენი: ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი, მისი ძმა დემეტრე და მისი მემკვიდრე ადრნერსე. ისინი გამოსახულნი არიან ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე რელიეფების სახით. რელიეფებს წარწერებიც ახლავს (წარწერები ასომთავრულია, ხანმეტრები, ოსტატურად შერწყმული ადამიანთა გამოსახულებებთან). ეს საშუალებას გვაძლევს, დავაზუსტოთ ძეგლის აგების თარიღი: ამ პირებთან დაკავშირებული საბუთების შეჯერებით დადგინდა, რომ ტაძარი აუშენებიათ 585-86—604-5 წლებს შორის (თვითონ ეპოქა აგებისა წარწერების გარეშეც ცნობილი იქნებოდა ძეგლის ხუროთმოძღვრული თავისებურების მიხედვით).

მაგრამ მცხეთის ჯვრის ისტორიას უფრო შორეული ფესვები აქვს. ეს ფესვები ქართლის გაქრისტიანების პირველ ხანებს უკავშირდება. ამ ადგილას უკვე IV საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, როცა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარეს, აღმართული იყო (ლია ცის ქვეშ) ხის დიდი ჯვარი. ამიტომ ეწოდა ტაძარსაც ეს სახელი. ჯვარს თავიანთს სცემდნენ არა მარტო ქართველნი, არამედ მთელი კავკასიის ქრისტიანები.

VI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ახალმა სარწმუნოებამ ფესვი გაიდგა და ჯვრის თავყანის საცემად მისულ მლოცველთა რიცხვამაც იმატა, ქართლის ერისმთავარმა გუარამმა, ხსენებული სტეფანოზის მამამ, ჯვრის გვერდით ააგო მცირე ეკლესია. იგი დღესაც დგას და მას, ჩვეულებრივ, „მცირე ჯვარს“ ვუწოდებთ.

ბის გრძობა“. მცხეთის ჯვარი ამ „გრძობის“ ერთი უმაღლესი გამოხატულებათაგანია.

ბევრ სხვა ქართულ ძეგლთან შედარებით მცხეთის ჯვარი უკეთ გადაურჩა „ჟამთა სიავსს“. მართალია, X საუკუნეში მას არაბებმა ცეცხლი გაუჩინეს და საკმაოდ დაზიანეს კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ წვრილმანი იყო. საბედნიეროდ, ძეგლმა დღემდე შეინარჩუნა თავდაპირველი სახე.

მცხეთის ჯვარი ე. წ. ტეტრაკონქის ტიპის გუმბათიანი ტაძარია. ტეტრაკონქი (ოთხი კონქი) ეწოდება შენობას, რომელსაც საფუძვლად ჯვარისებრი მოხაზულობა უდევს და ჯვრის ყოველი მკლავი ნახევარწრივით მთავრდება (ამ ნახევარწრიული ნაწილის გადახურვას ეწოდება კონქი). მცხეთის ჯვარში ჯვარისებრ მოხაზულობას ემატება მკლავებს შორის მოთავსებული თითო ოთახი. ყოველ მთავანს თავისი დანიშნულება ჰქონდა: საკუროთხევლის მარცხენი და მარჯვნივ იყო ე. წ. საღიაკვნი და სამკვეთლო, მღვდელთმსახურებისთვის საჭირო სათავსები: სამხრეთ-დასავლეთის ოთახი ქალებისა ყოფილა (შიგნით, ამ ოთახის შესასვლელის თავზე, წარწერაა, რომელიც მოგვითხრობს, რომ იგი თავისი ხარჯით აუშენებია „ქრისტეს მხევალს“ ვინმე თემისტას); ჩრდილო-დასავლეთის ოთახი, ალბათ, ერისმთავრის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. კუთხის ოთახები მთავარ სივრცეს საგანგებო ნიშნებით უკავშირდება.

ფართო გუმბათი კედლებს ეყრდნობა, ამ ტიპის შენობებში ბოძები არ არის. ტაძარს შუქი ეფინება გუმბათისყელისა

მობს შენობა მთლიანადაც და მისი ყოველი დეტალიც. ყველაფერი ღრმად გააზრებულია, ყოველი ნაწილი საჭირო და აუცილებელია, ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. ყურადღებას იპყრობს რელიეფების განაწილებაც ფასადებზე, მაგალითად, აღმოსავლეთის ფასადზე, სადაც ეს რელიეფები, სარკმლებთან ერთად განუყოფელ მხატვრულ კომპოზიციას ჰქმნიან.

მცხეთის ჯვარი პირველი ქართული ძეგლია, რომელშიაც მთლიანად დაძლეულია ინტერიერისა და გარეგნული სახის მხატვრული შესაბამისობის პრობლემა, იმავე დროს, პრობლემა ფასადის მხატვრულად დასრულებული სახის შექმნისა. ეს ერთი იმ მთავარ ნიშანთაგანია, რომლითაც მაშინდელი ქართული ხუროთმოძღვრება განსხვავდება ბიზანტიური არქიტექტურისაგან.

გალავანი გვიანდელია, XVI-XVII საუკუნეებისა.

მცხეთის ჯვარი სათავეს უდებს მსგავსი ტაძრების მთელ ჯგუფს, რომელიც VII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სახელდობრ, მარტვილის (ჭყონდიდის) საეპისკოპოსო ტაძარი სამეგრელოში, ატენის სიონი ქართლში (გორთან), ძველი შუამთის მთავარი ეკლესია კახეთში (თელავთან).

მცხეთის ჯვარი ყოველი ქართველისთვის მცხეთის, ამ წმინდა ადგილის, ნამდვილი გვირგვინია.





საქიანო კავშირის შენეირებისა და ტექნის სახელმწიფო კომიტეტის წინადადებით საქართველოს სსრ 1982 წლიდან ვო-უელწლორდ ჰტრეს საქმინაიო გამოფენას „საქართველოს სსრ შენეირება, ტექნიკა და ეკონომიკა“ რასაც თან ახლავს საინფორმაციო-პროაგანდისტული ლონისძიებები.

უკვე ჩატარდა გამოფენები ფინეთში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში (1982 წ.), კანონში (1983 წ.), უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში (1984 წ.), ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში (1985 წ.) და ინდოეთში (1986 წ.).


შემდინარე წლის ნოემბერში ანალიტიკური გამოფენის ჩატარება გავრახულა ვიტენამის სოციალისტური რესპუბლიკის ქ. ბონიონში. აქვე, ლონის პროცესში, ამავე პერიოდში ჩატარდება სსრ კავშირის დღეები საქართველოს სსრ შავლითზე.

როგორც წესი, საქართველის საექსპონატო გამოფენებს ბევრი მხანაველი შავს. მას საზოგადოებრიობისა და სპეციალისტების ათხაობით წარმომადგენელი ათვლიერებს.

გამოფენების მუშაობის პერიოდში კითხულობენ ლექციებს, ატარებენ სემინარებს და საუბრებს მრგვალ მაგიდასთან საგამოფენო ქალკის თუ სხვა ქალკების ორგანიზაციებში, საწაწლო და საექსპონატო დაწესებულებებში.


საქმონატო გამოფენებს სწრებიან ოფიციალური დედეგაციები, აგრეთვე სპეციალისტები და მხაიობები კულტურული პროგრამის ჩახატრენლად.

საქართველოს სსრ  
საგამოფენო დარბაზები  
უცხოეთში



მეცნიერება  
ტექნიკა  
ეკონომიკა





უთო ლაშავა



აქართველოდან რომ აღმოსავლეთით-საქენ წახვიდეთ და სულ პირდაპირ იარომ ფეხით, ექვსი-შვიდი თვის შემდეგ მიხვალთ ერთ დიდ სახელმწიფოში, რომელსაც ჰქვია ჩინეთი. არა ქვეყანა არ შეედრება ჩინეთს მცხოვრებლების რიცხვით მთელ დედამიწის ზურგზედ. აქ არის განთქმული აბრეშუმის ქვის სამშობლო და იმისი საქმლისა — თუთის ხისა. ამ ქვის ჩინეთში ცალკე ოთახებს არ უშენებენ, როგორც ჩვენში, იმიტომ რომ ზამთარი ამ ქვეყანაში სრულიად არ იცის. თუთის ხეები მთელი წელიწადი ჰყვავის და მათზე ცხოვრობს აბრეშუმის ქია. ზამთარ-ზაფხულ ამ ხეებიდან აქაური მცხოვრებლები ჰკრეფენ აბრეშუმის პარკებსა და აკეთებენ აბრეშუმსა. უწინდელ დროში ამ ქვეყნის გარედ არსად იზოგებოდა აბრეშუმის ქია და არც თუთის ხე იზრდებოდა სადმე. ამიტომ ჩინელები აბრეშუმს მამასისხლად ჰყიდიდნენ. მაშინ აბრეშუმეული ისე ძვირი იყო ჩვენს ქვეყნებში, რომ ძალიან მდიდარ ხელმწიფის ცოლებსაც კი უჭირდათ ფარჩის ტანისამოსის ყიდვა. ჩინელებს უნდოდათ, რომ მათგან აბრეშუმის კეთება არავის ესწავლა და მათი მოგება არ შემცირებულიყო; ამიტომ მართებლობამ ვასცა სასტიკი ბრძანება; აველა ჩვენი ქვეყნიდან სხვაგან წამსვლელი კარგად გაჩხრიკეთ ხოლმე, რომ არავინ გააპაროს აბრეშუმის პეპელა, ან ქია ან თესლით.

დიდხანს ვერავინ მოახერხა ჩინეთიდან აბრეშუმის ქვის გამოპარება. ბოლოს ეს გაბედა ორმა ფრანგის მღვდელმა, ჩინეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად მისულმა. ეს მოხდა სამასი წლის წინად. მოგზაურობის დროს ამ მღვდლებმა თვალი ადევნეს ჩინეთში ქვის მოვლასა, აბრეშუმის კეთებასა, შემდეგ გაიკეთეს გულ-ამოფულრული ჯოხები ასახდელი თავებითა და ჩუმად გაავსეს აბრეშუმის ქვის თესლით. როცა ისინი ჩინეთიდან მოდიოდნენ, ყველა ნივთი დაწვრილებით გაუსიჩქეს, ის კი არავის მოუვიდა ფიქრად, რომ ყურადღება მიექცია იმათი ჯოხებისათვის, რომლებიც სრულიად უმბრალო ჯოხებსა ჰგავდა. ესე გამოიტანეს ჩინეთიდან ამ მღვდლებმა აბრეშუმის ქვის თესლი და მას უკან იმდენად გავრცელდა ჩვენს ქვეყნებში აბრეშუმის ქია, რომ იმის პარკებიდან ეხლანდელ დროში ურიცხვ აბრეშუმეულს არ ითვენ და აკეთებენ. ამიტომ ყველა აბრეშუმეული ძალიან გაიაფდა. უწინ ხელმწიფის ცოლებსაც იშვიათად ეცვათ აბრეშუმის ტანისამოსი, ახლა სოფლის გლეხის ქალებიც კი კონტაობენ ფარჩეულობით.

აბრეშუმის ქვის ცხოვრება და მოქმედება მეტად შესანიშნავია და საინტერესო... აბრეშუმის პეპელამ დაყარა თესლი, ანუ, უფრო სწორედ ვთქვათ, პაწია კვერცხები, ქენისითვის თავის ოდენა. ეს კვერცხები პატრონმა გამაზნევა გაზაფხულზედ. მზის სითბომ რამდენსამე დღეს კვერცხის გულში გაზარდა ქია, რომელიც მოხვეული იდგა შიგ, როგორც წიწილა ძვეს ხოლმე ქათმის კვერცხში. ეს ქია ისეთი პატარა იყო, რომ ერთი ბეწვა ნაქუქში ადვილად თავსდებოდა. როცა მას ვიწრო ოთახში წოლა მოსწყინდა და შიმშილმაც შეაწყუნა, მაშინ საპრობოლუში მყოფსავით, გარედ გამოძრომა მოინდომა. მაგრამ როგორ გამოუვიდოდა გარედ მაგარ ნაქუქსა? პაწია ქვის ორი მაგარი პატარა ყბა ება და იმათი შემწვობით ნაქუქს დაუწყო კბენა და ხერცთა. აი გაიკეთა პატარა ჭურჭრუტანა და დაინახა პირველად სინათლე. მერმე მთელ ნახევარ დღეს იმუშავა და ეს ჭურჭრუტანა ისე გააიღა, რომ თავისუფლად გამოძვრა გარედ. აი ქია გაიზოზრა და შეჰხარა მზის თბილ სინათლესა და თუთის მწვანე ფოთოლს, რომელიც იქვე იმისთვის იყო დამზადებული პატრონისაგან. ძველი მუშაობის შემდეგ ქია შიმშილსა გრძნობს და თავისი ორი თვალით ჰხედავს, ახლო გემრიელ საქმელს. თექვსმეტი ფეხის შემწვობით, რომელთაგან ექვსი წინ აბია და ათი უკან, მიცოცდა თუთის ნორჩ ფურცლებთან, დაუწყო

ქამა და როგორც ქამა! დღედაღამე განუწყვეტლივ სკამდა. ბევრი ქამისაგან მუცელი ისე გაებერა, რომ სარტყელის შემორტყმა მოუხდებოდა. ჩქარა ქვის კანი დაუეფროვდა და შიგ ხორცი აღარ ეტეოდა. მაშინ შესწყვიტა ქამა, მოიბუზა, თანდათან გაყვითლდა, მძიმე ავადმყოფსა და მომაკვდავს დაემსავსა. უცებ ქიამ როგორღაც მოიტრიალა თავი და კანი თავზედ გაუსკდა. ქია გამოძვრა თავისივე კანიდან და ძველი ქერქი მიწაზედ დაანარჩუნა.

მაშ, ქია ტიტველა დარჩა? სულაც არა. წინად ამოუვიდა ძველ კანს ქვეშ ახალი კანი. აი ხელახლად კიდევ უფრო მაღიანად მიჰყო პირი ქამასა და იქამდინ სთქვლიფა თუთის ფოთოლი, ვიდრე ახალი კანიც არ დაუეფროვდა. კანი მეორედაც გაიშვლია. ეს ტანისამოსის გამოცვლა მოხდა ოთხჯერ და ამ გზით ერთი ბეწვა ქვისაგან, რომელიც პაწაწინა კვერცხიდან გამოძვრა, გქვისი-შვიდი კვირის განმავლობაში გაიზარდა თითის ოდენა ქია.

იმ ფოთლების წვენიდან, რომელსაც სკამდა ისეთი გაუმძაღრობით, ქვის ტანში გაუკეთდა ბევრგვარი მასალა, უმეტესად კი ის ნივთიერება, რომლისაგანაც ქსელს აბამს ობობა. ამ წებოიანი

კანი გამოიცვალა ამ დროს, რვა დღეს განუწყვეტლივ იტრიალა, ართა და ახვია ძაფი, ახლო კი სთვლემდა. ბოლოს უკანასკნელად ქსელს სთვლიდა თავისი სამუშაო ტანისამოსი. რადგან ქია წინასწარ სირბილი არ შეეძლო ფეხები საწინაო აღარ იყო, და ამისთვის ქიამ ფეხებიც დაიყრევინა ტანისამოსთან ერთად. თვალებს საცქერელი არა ჰქონდათ რა, რადგანაც ქვის ოთახი ბნელი იყო, ყბებიც უსაქმოდ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქია საკმელს მოკლებული იყო ამიტომ ყველა ესენი ქიამ მოიშორა და დააწყო ერთად: თვალები, ფეხები, ყბები, ბალანი და კანი, სწორედ ისე, როგორც მუშა ხელოსანი დღესასწაულის წინად იარაღს აწყობს და იხდის გათხუზულ ტანისამოსს. ქია თითქოს მოკვდა, იდგა გაუნძრევლად, უთავოდ და უფეხოდ, უპიროდ და უთვალოდ. ახლა იმის კანი, რომელიც იქამდინ რბილი იყო, რამდენიც უფრო ბევრი დრო გადიოდა წოლაში, იმდენად უფრო მაგრდებოდა. მის გარშემო სინდულე იყო, ჰაერი თითქმის არ ჩადიოდა. ქია იდგა გაუნძრევლი, როგორც კუბოში. ამ დროს ყველა იფიქრებდა, რომ ქია ახლა მოსვენებაში თავისი ხანგრძლივი ჯაფის შემდეგ, ან იქნება კიდევ მოკვდაო, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლო იქ-

# საქართველოს ქია

იაკობ გოგუაძისგან

## ბუნების ქარი

მესამე და მეოთხე წლისთვის.



თქვენთვის გამოცემა (110,000).

შეცვლილი ახალი განყოფილებით — „გაბრანსაბი“.

მრავალ სურათით, საქართველოს ახალი გრძელი ქართული და ევროპის პატარა ქარები.

ყმა ველი 70 კპ.

თბილისი, 1912.

მწირობა: მგბ. ს. ლინაბერიძის, მთქ. კ. სკ. სახლი, 26.

ნებოდა, იმიტომ, რომ სწორედ ეხლა სცილიობდა ეს გაუნძრევლი სულიერი მოხდინა ისეთი რამე, რომ ყველა იმის ნამოქმედარზედ უფრო გასაკვირველი ყოფილიყო.

მკვდრად ჩათვლილმა მწერმა გამაგრებულ კანქვეშ დალაგა ლამაზად და რიგზე თავისი ახალი ასოები, თოთხმეტი დღის შემდეგ მიხაკის ფერი კანი გაიხსნა და იქიდან გამოვიდა პეპელა. მას ორი დიდი თვალი ება, თავზე ქოჩორი ესხა და მუცელი შემოსილი ჰქონდა წმინდა ხშირი გინგლით. იმისი აგებულება ამტკიცებდა, რომ ახლა იგი უნდა დამტკბარიყო სიცოცხლით მზის შუქზე და თბილს ჰაერში. მაგრამ როგორ გამოვიდა ეს პეპელა თავისს საპყრობილედან? ფეხები ძალიან სუსტი ჰქონდა, მკიდროდ დახვეულ ძაფს ვერ დასწყვეტდა, კბილები სულ არ ებადა, მართალია, პაწია, ნაზი ენა ება, მაგრამ იმითი შეეძლო მხოლოდ ეწუწუნა ტკბილი წვენი ყვავილები-სა. პეპელა უთუოდ შიმშილით მოკვდებოდა პარკში, ბუნებას რომ სხვა იარაღი არ მიეცა იმისთვის. იმ წებოიან წვენს გარდა, რისაგანაც ქიამ პარკი გააკეთა, სხვა წვენიც უდგა ტანში. ამ უკანასკნელი წვენი პარკი ერთ ადგილას დასველა და ამ წვენმა ეს ადგილი ამოჰკაბა, რის გამოც პეპელას კარზე გამოსასვლელი ჭურჭრუტანა გაუკეთდა.

სხვა იმის ამხანაგებს კი პეპელად გარდაქცევა არ დააცალა პატრონმა, იმიტომ რომ, რაკი პეპელა პარკში ჭურჭრუტანას გააკეთებს და ქსელს გასწყვეტს აბრეშუმში სრულიად აღარ ივარგებს. ამიტომ პატრონმა პარკები თავის დროს ადუღებულ წყალში გამოხარშა და ქიები შიგ ჩახოცა. მარტო რამდენსამე პეპელას, ჩვენს პეპელას გარდა, მისცა ნება გარედ გამოსვლისა, რადგანაც ესენი სათესლოდ უნდოდა. თითო პეპელამ ხუთსამდე კვერცხი დადო. პატრონმა გამოხარული პარკებისაგან წვრილი ძაფი ამოახვიო; მერმე სიმაგრისათვის რამდენიმე ძაფი ერთად შეგროხა. ასე გაკეთებული აბრეშუმის სხვადასხვაფერად შელება და შემდეგ მოქსოვა მშვენიერი ფარჩები.



ცნობილი უნგრელი პროზაიკოსის ტიბორ ჩერეშის სტატია „თაობები და მოლა“ ერთგვარი ფსიქოანალიზია თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების იმგვარი სიტუაციისა, როდესაც ვიზუალური კომუნიკაციების — ტელევიზიის, კინემატოგრაფიის, აშუამად კი უკვე ვიდეოს შემოტევის შედეგად ახლებურად ვითარდება ახალ შემოქმედებით ეტაპებზე მყოფი, მძაფრ წინააღმდეგობებში გაწაფული სიტყვაკაშპული ანუ „ტექსტობრივი კულტურა“, და ღრმად ლოგიკურ სამიზნეს უქმნის მოაზროვნე ადამიანს და ნამდვილ მწერალს.

# უ

ორეულ წარსულში გამოქვეყნებული ან სრულიად თანამედროვე მემუარების კითხვისას, თითქმის აუცილებლად წაწყდებით ჩვილ-წუწუნს ახალგაზრდობის ზნე-ჩვეულებათა გამო: აქაოდა, ჩვენს სიჭაბუკეში წუთისოფელი სულ სხვაგვარად იყო მოწყობილი. ადამიანებიც უკეთესნი იყვნენ და, ამდენად, მაშინდელი ახალგაზრდობა გაცილებით ჯობდაო ახლანდელს — ბევრად ზრდილიც იყო, მაღალზნობრივად შემკულიც და მოწინებულაც უფროსებისადმი.

ასე მოდის თაობიდან თაობამდე. წარსულის განსენებით ჩვენი სიჭაბუკის ჟამი უფრო ჰარმონიულად გვესახება. მემუარების ავტორებს თუ ღაფუჯერებთ და მათ კვლავ ნებისმიერი ეპოქის ადამიანის მოქცევას და შეხედულებებს ჩვენი წინაპრების ოქროს საუკუნეს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ამჟამინდელი ახალგაზრდობა ამკარად ყველაზე თავაშვებულად და ზნედაკარგულად უნდა მივიჩნიოთ.

საბედნიეროდ კი, საქმე სულ სხვაგვარად არის მოწყობილი. მემუარისტებისთვის რომ დაგვეჩვენებინა, უნებურად ვემსხვერპლებოდით კიდევ საკუთარ მესხიერებას, რომელსაც სჩვევია წარსულის შელამაზება.

რა ემართება ადამიანს სიბერეში შესვლით? ცხოვრება წინ მიდის და მას განზე ტოვებს, თუ თვითონ, თავად განუდგება ხოლმე ამ ცხოვრებას?

რაც უფრო იკვებება წინ გზის დასასრული, რაც უფრო ვუახლოვდებით მას, მით უფრო ძვირად გვიღირს ჩვენ-ჩვენი საკუთარი ახალგაზრდული წლები. და ამიტომაც ვსჯით, საკუთრივ, არა სიყმაწვილეს, არამედ დღევანდელ დღეს, რითაც მთელი არსებით შევიგრობნობთ მორალურ უფლებასაც და ერთგვარ „მოწოდებასაც“ სამისოდ!

რა არის ამის მიზეზი, ვარდა უკვე ზემოთ აღნიშნული ადამიანური მესხიერების უნარისა?

— ის, რომ კანონებს ამკვიდრებენ მოხუცები, ახალგაზრდები პირიქით, არღვევენ მათ. და ჩვენ, ისინი, ვინც წარსულს ვიხსენებთ, სულ უფრო მტკიცედ ვუდგებით დამცველებად ამ კანონებს.

დასავლეთ სამყაროში „მამებსა“ და „შვილებს“ შორის არსებულ წინააღმდეგობებს განსაკუთრებით ამაფრებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მაგრამ სოციალისტურ ქვეყნებშიც, სადაც საზოგადოება მეტნაკლები საფუძვლიანობით შეიძლება ჩაითვალოს უკლასოდ, რამდენადაც „ტრადიციული“ კონფლიქტები კლასებს შორის აქ უჩინარდება, მათ სანაცვლოდ იქმნება და ძლიერდება ათასგვარი სხვაობანი ინტერესებსა და გემოვნებებში, არსებობს თაობათა ურთიერთგაუგებრობის პრობლემა და იგი ვინმეს როდი შეუთხზავს.

## ტიბორ ჩერეში

რით შეიძლება აიხსნას ეს მყარი და, შესაძლოა, თანდათან უფრო გაღრმავებული წინააღმდეგობანი? ამ კითხვას შეიძლება ასეთნაირად გავცეს პასუხი: მეცნიერების ელვისებური განვითარებით და სწრაფად ცვლადი, ერთი-ერთმანეთზე, მალა-მალა წამოსული მოდათა ზვირთებით, გემოვნებათა დიქტატებით.

თუკი თანამედროვე საზოგადოებაში ავწონ-დავწონით მოზარდისა და საპენსიო ზღურბლს მიახლოებული მამაკაცის ფასეულ კრიტერიუმებს, შევადარებთ იმას, რაც სწორედ იმათ გარემომცველ სამყაროში და პირად ცხოვრებაში პატივისცემისა და ბოლომდე შენარჩუნების ღირსად მიაჩნიათ, აღმოვაჩენთ უზარმაზარ სხვაობას ყოველი თაობის მიდგომაში. ამასთან, სხვაობანი არ განისაზღვრება მარტოოდენ ობიექტების შეფასებებით — ისინი ენება, აგრეთვე, მათი გამოხატვის, თვით ენობრივ საშუალებებსაც; არა უბრალოდ სიტყვათმომშველიებას, არამედ მსჯელობათა ლოგიკასაც.

ასეთი განხეთქილება თაობათა შორის, როგორც ისტორიული მოვლენა წარსულში, ძირითადად აიხსნება და გამოწვეულიც იყო, ხშირად ეკონომიკური კრიზისებით, შიმშილითა და, ამასთან ერთად, პირველ რიგში, თვით სამხედრო კატასტროფებითაც.

ჩვენს დროში უკვე აღარ შეიძლება მემკვიდრეობითობის რღვევის ამგვარი დასაბუთება. „განტევების ერთადერთ ვაცს“ რომ დავემაყოფილებინეთ, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლებოდა მიზეზად მოგვეყვანა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა განვითარებაში არსებული რევოლუციური ნახტომი. ოღონდ, ვეჭვობ, ამანაც რომ დაგვაცხროს. და განა მარტო ამის მოშველებით აიხსნება წარსული პრიორიტეტის გაქარწყლება უფროსების მიმართ?!

რა წარმოადგენდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეუვალე ავტორიტეტის ფუნდამენტს, რომელიც აიძულებდა ყმაწვილკაცს განსაკუთრებული კრძალვით მოპყრობოდა ხანდაზმულთ? ახლო წარსულში ეს იყო შეძენილი ცოდნა, უფრო შორეულ ხანებში — ზეპირად ნაანდერძე ტრადიციათა შესისხლხორცება, მხოლოდ უფროსებს რომ შეეძლოთ გადაეცათ უმცროსთათვის, უფრო ადრე კი — ის როლი, რომელსაც უზრუნველყოფდა უხუცესთა ჭლარა თავებში მოქცეული კოლექტიური სიბრძნე გვარ-ტომთა, საიდუმლო წეს-ჩვეულებათა და რიტუალებისა. ჩვენს

დროში საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის აუცილებელი ცოდნა, არსებითად, ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში უნდა გადახალისდეს. სხვა სიტყვებით, ხუთწლედის განმავლობაში ადამიანის მიერ შეძენილი ცოდნის უდიდესი ნაწილი „ბერდება“ და მასთან ერთად ბერდება ყოველად გამოუსადეგარი, უკვე ფუჭი ჭეშმარიტებებისა და ცნობათა მასაში ყელამდე ჩაფლული მისი პატრონიც.

ვინ შეიძლება ჩავთვალოთ ამ ჩამორჩენილ (რბილად რომ ვთქვათ) ადამიანებად? რასაკვირველია, მოხუცი, ხანდაზმული — თუნდაც ნუ იქნებიან ფიზიკურად, ჯერაც, ისე დაძაბუნებულნი.

ამ თვალსაზრისით, ხანდაზმულთათვის ერთადერთი გამოსავალი არსებობს — სიყოჩალის შენარჩუნება. და ეს, უბრალოდ, სურვილის ან განზრახვის საკითხი როდია: მედიცინა, რომელიც სწრაფად ვითარდება მეცნიერებასა და ტექნიკასთან ერთად, დღეს ფიზიკური აქტიურობის, სიმხნევის შენარჩუნების გაცილებით მეტ საშუალებებს გვაწვდის, ვიდრე, ვთქვათ, ამ ორმოცდაათი წლის წინათ. აღარას ვამბობთ შორეულ საუკუნეებზე, როდესაც ოცდაათი-ორმოცი წლის კაცი უკვე მოხუცად ითვლებოდა: დღეს ორმოცდაათი წლის მამაკაცებს ჯერ კიდევ ახალგაზრდებად მიიჩნევენ, ქალები კი, თვით ბებიათა ასაკშიც არ ჰკარგავენ შვილის გაჩენის უნარს.

კიდევ მრავალი ისეთი რამ არსებობს, რაზეც ღირს დაფიქრება ახალგაზრდების ქცევასთან დაკავშირებით. მოხუცებს უკვე დაავიწყდათ, სხვათაშორის, ის კარგი და ნამდვილად აღორძინების ღირსი ყოველწლიური რიტუალები, როდესაც ახალგაზრდებს საზოგადოების სრულყოფილიან წევრებად ნათლავდნენ და აზიარებდნენ მათ შეგნებული ცხოვრების საფუძვლებს, რიტუალები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება ისწავლონ ახალგაზრდებმა მემკვიდრეობითობა, მიიღონ ესტაფეტა. დასავლეთში ეს უკავშირდება რელიგიურ და ეთნიკურ ტრადიციათა შესუსტებას. ჩვენში ასეთი სურათია: ახალგაზრდობამ იცის, რომ ეკუთვნის საკუთარ თაობას და თანაც მომავლისთვის შეუპოვარი ბრძოლა ველარ წარმოუდგენია იმ თაობათაგან მოუწყვეტივ, მსოფლმხედველურ ჩიხში მომწყვდეულ შეხედულებებს რომ ვეღარ შელევი (მისი აზრით). და კიდევ კარგი, რომ ეს განხეთქილება როგორც ერწყმის შემწყენარებლობას; რაკილა მოხუცებმა საერთოდ ხელი აიღეს ახალგაზრდები-

სთვის საკუთარ გემოვნებათა ნორმების თავისმონებვაზე, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების მძლავრი ხელშეწყობით ახალგაზრდობაც ძალუძამდ ამჟღავნებს მიდრეკილებას, ბოროტად გამოიყენოს თავისი მდგომარეობა და მიმართოს გემოვნებათა ტერორს.

მხედველობაში მაქვს, მაგალითად, თანამედროვე მუსიკა და ტელევიზია. და აი, აქ უკვე ვუახლოვდები საკითხს, რისთვისაც წამოვიწყებ კიდევ ეს საუბარი — ჩვენი ლიტერატურის აწმყოსა და წარსულის საკითხს, უფრო ზუსტად კი იმას, თუ რას ვეკრებ ამ სფეროში და რას ვფიქრობ ამ მიმართებით.

დასაწყისისთვის შეგახსენებთ სავალალოდ ცნობილ და, როგორც ამჟამად უკვე ვრწმუნდებით, სრულიად აუხდენელ წინასწარმეტყველებას მარშალ მაკლიუნენისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „გულტენბერგის ვალაქტიკას“, ანუ დამწერლობით ტექსტზე დამყარებულ კულტურას (არც მეტი, არც ნაკლები) ბოლო ეღება; რომ მასობრივ კომუნიკაციათა ელექტრონული საშუალებების გავრცელება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო შემდგომში — მათი შეჭრა ცხოვრებაშიც, სპობს (მოსპობს) ნებისმიერ მხატვრობას, თუნდაც სულ მცირედად დაკავშირებულს ანბანთან. ეს კი ნიშნავდა, საერთოდ, ბექდვითი, წიგნიერი კულტურის აღსასრულს — კვდომას, მართალია, არა ელვისებურს, მაგრამ მაინც ისეთ გარდუღელ პროცესს, ყოველ შემთხვევაში, ძირეულ შეცვლას რომ გამოიწვევდა და ბოლო პლანზე გადასწევდა ლოგიკური წაკითხვის კულტურებს.

და აქ უკვე პირდაპირ ჩავყურყურებლავდით პრობლემებში, რომელთაც მრავლად აჩენს ჩვენი დღეების პროზა (პოეზიას რაც შეეხება, მოდით, მისი განსჯა უფრო კომპეტენტურ ადამიანებს მივანდოთ).

როგორღა გამოენამაურება ახალგაზრდა რომანისტი ან ნოველისტი იმ გამოწვევას, კინემატოგრაფმა, ტელევიზიამ და, ამჟამად, უკვე ვიდეომაც რომ მოახვია ლიტერატურას. სამი ვარიანტი გვესახება. თუკი მწერალი სუსტი ნებისყოფისაა და სწრაფი წარმატება არჩია, ვიზუალური კომუნიკაციის მხარეს დადგება და საკუთარი მწერლობითი შემოქმედების საშუალებებსაც სწორედ ამ საშაზურს ანაცვალვებს.

მეორე გზა — ახალი უნარებით ჩენილი ფსიქოლოგიური, ლოგიკური მიღწევებისა და მეთოდების, ყოველივე იმის გამოყენება შემოქმედებაში, რითაც ელექტრონულ რევოლუციას შეუძლია, გაამდიდროს მონტაჟის ტექნიკა ლიტერატურაში.

და ბოლოს, არსებობს მესამე გზა: ზურგი აქციოს ხელოვნების ახალი დარგების ცთუნებებს და შეეცადოს, არ დაუშვას დამწერლობითი კულტურის სრული მოწყვეტა ტრადიციებისგან.

ლიტერატურის აწმყო და მომავალი იყო და იქნება დაკავშირებული მეორე და მესამე გზით წინსვლასთან. და ვიდრე ვახსენებდეთ ტრადიციებს, მოკლედ ვიტყვი. „გულტენბერგის ვალაქტიკას“ სულაც არ მოღვებია ბოლო და არც „მას-მედიას“ შეუწყვია ხელი მისი დაუქმებისთვის. მხოლოდ აქა-იქ გამოიკვეთა ბექდვითი სიტყვის, წაკითხვის კულტურის გაბატონების საზღვრები.

და მაინც, ამჟამად, მასობრივ კომუნიკაციათა ახალი საშუალებების გავრცელების ეპოქაში, ლოგიკური წაკითხვის აღ-

რინდელი კულტურა თავისი დასასრულის დასაწყისს მიადგა. თუმცა, ცვლილებანი ამ მხრივ ერთბაშად შედარებითია: ტრადიციული ლიტერატურის ნაწარმოებთა და მის მომხრეთა რიცხვი არ იკლებს, რადგან მასები, რაკილა მათ ისწავლეს წერა, დამატებით უნდა ეზიარონ კიდევ ტრადიციულ კულტურას, ანუ დაეუფლონ წაკითხვის ხელოვნებას.

ლოგიკური, ტრადიციული წაკითხვის უარყოფა, ჯერჯერობით, ინტელიგენციის მცირე, ძალზე ვიწრო ფენისა და, ბუნებრივია, ერთი-ერთმანეთზე ტალღებდ წამოსულ მწერლობურ თაობათა პრივილეგიად რჩება. ლიტერატურაში შემავალ დამწყებ ლიტერატორებს თითქმის აუცილებლობად მიაჩნიათ, დაეუფლონ „არასწორხაზოვანი“ აზროვნებისა და შემოქმედების საშუალებებს. ამასთან, თითქოს სულაც არ ზრუნავენო მკითხველზე და არც ის ამბავი აფიქრებთ, მკითხველისთვის ხელმისაწვდომია თუ არა მათი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. თუმცა, წარმატება ამ შემოქმედათვის ფუჭ ხმოვანებად როდი რჩება. ამას მოწმობს მუსიკის მაგალითი — მასობრივი გარდაქმნები მუსიკალურ გემოვნებათა სფეროში, „ახალგაზრდა“ მუსიკის ელვისებური გავრცელება.

მაინც რა ახასიათებს უახლეს ლიტერატურულ მოვლენებს?

ზედმიწვევით მოკლედ რომ ვთქვათ — ირონიული თუ სერიოზული სიურეალიზმი და, მასთან ერთად თუ მისსავე საწინააღმდეგოდ, მიდრეკილება თამაშისკენ, ნატურალიზმადე მისული მიკრორეალიზმი. ნაწარმოებთა სტრუქტურას შეადგენს ერთბაშად რამდენიმე დონეზე გაშლილი ნაამბობი, დროთა სიბრტყეების შერევა მოთხრობაში. მოთხრობის ეს ახალი ტიპი არ ითხოვს „თავდადასავალს“, ფაბულას, მოვლენითობას. რას მოგვითხრობს ასეთი ტექსტი, ამგვარი ნაწარმოები? — შეუძლებელია თანმიმდევრულად თავიდან ბოლომდე ყოველივეს გადმოცემა. უფრო სწორად, თავად მცნება „მოთხრობა“, ძველი მნიშვნელობით რომ ესადაგებოდა ამ ნაწარმოებებს, უკვე აღარ გამოგადგება. აქ უმჯობესია გამოვიყენოთ სიტყვა „ნოველა“, მისი უძველესი მნიშვნელობით, რაც ხაზს გაუსვამს „ახლის“ იდეას. თავად რომანიც აღარ უნდა აღვიქვათ იმ არსით, რომ მწერალი გვიამბობს რალაც თავშესაქცევ ან დამრიგებლობურ ამბავს. ნაწარმოების კითხვისას ჩვენ გვიჭირს უკვე იმის გარკვევა, თუ რისი თქმა სურს მწერალს, რამდენადაც მშვენივრად გაფორმებული, ზუსტი, ზოგჯერ ეპიგრამულად გამოკვეთილი, ხშირად კი გართულბული ტექსტი უნდა აღვიქვათ, როგორც სიამოვნების დამოუკიდებელი ობიექტი. უკეთეს შემთხვევაში სწორედ მხოლოდ მას მერე, რაც მკითხველი დატკებება ტექსტით, ჩვენ შევიცნობთ ან შევიგრძნობთ, თუ რისი თქმა სურდა ავტორს.

ერთ შესანიშნავ კრიტიკოსს აღრინდელ და ახლანდელ პროზას შორის არსებული სხვაობის დახასიათებისას მოჰყავს მშვილდით სროლის მაგალითი. წარსულის ნოველისტი პირველი ფრაზებიდანვე უქმნის მკითხველს სამიზნეს, შემდეგ ისრებს რომ დააყრის და თხრობის გაშლასთან ერთად იმრავლებს კიდევ ზუსტად მოხვედრილ ისართა რიცხვიც. „თანამედროვე“ პროზაიკოსი სულაც არ ფიქრობს გაუმხილოს მკითხველს თავისი მიზანი და არც რაიმე სამიზნეს უქმნის: ისრებს ისე, ალაღბედ-

ზე უშვებს — წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. თავაზიანი მკითხველი ვერც კი ხვდება, თუ რა წრიულ ბოუნებაში მოექცა და მხოლოდ ბოლოში გასვლისას და მას შემთხვევით, რისი შეგამებაც შეიძლება, შესწევსლა უნარი „განცდილის“ ერთგვარი ანგარიში ჩააბაროს საკუთარ თავს.

რა განასხვავებს თანამედროვე პროზას იმ შემოქმედებისაგან, რასაც ტელევიზია ახდენს ადამიანზე? ეკრანიდან მიღებული ინფორმაცია ცნობიერებაში უცხო შრეებად ილექება, ეს მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებში მნიშვნელობათა შრეები ერთმანეთს ეხლართება და ერთ მთლიან შენაღნობად იქცევა.

ამ სტრიქონების ავტორი თავად მუშაობს პროზაული უნარების სფეროში და ცდილობს, შენიშნოს და გაითვალისწინოს ყველა სიახლე და მონაპოვარი, ტელეკომუნიკაციურ რევოლუციას რომ მოაქვს, გამოიყენოს ყველაფერი, რაც ლოგიკური (დაე, ყოველთვის არა „სწორხაზოვანი“) გამოყენებას ჰპოვებს, შეაქვს თავის ახალ ნაწარმოებებში „ტექსტობრივი კულტურის“ მიღწევები, სხვადასხვა მხრიდან რომ საზრდობს იდეებით, ცდილობს რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს ყოველ სიახლეში, უარყოფს წარსულიდან შემოზიდულ იმას, რაც რეკვიზიტის უვარგის სამსახურად ქცეულა მთქნარების მომგვრელი მომპაზურბეელი აღწერილობითობის წყალობით. მაგრამ მას არ შეუძლია დაუშვას, რომ მისეულ (გრძელ ან მოკლე) ნოველებში არ არსებობდეს მნიშვნელოვანი ბირთვი (ან, სულაც, ჩანასახი) სიუჟეტისა, მოქმედებისა. იოლადაც ვერ გავა წინასწარ გამოდგმული სამიზნის გარეშე, სადაც შემოქმედებითი პროცესის დამღვეს თავს მოიყრიან ნატყორცი ისრები — მისი შემოქმედებითი ეფექტურობის მაჩვენებლები.

მწერალი, რომელიც უარს ამბობს ამგვარ სამიზნეზე, ისეთ ძნელ გამოცდას უწყობს მკითხველს, რომ ამ უკანასკნელს ხალდად მოთმინების ფიალა აეგვება. ზუსტად იმ მომენტში მწერალიც დაკარგავს მკითხველს. მოთმინების დაკარგვა კი ნებისმიერ დროს შეტრიალდება მოწყენილობით, პირდაპირ გასასვლელს რომ წარმოადგენს იმ ბილიკისაკენ, აუდიტორიისგან რაც შეიძლება შორს რომ მიიკლაცნება და საიდანაც, შემდეგ, უკვე აღარავინ მობრუნდება.

ლიტერატურული „ფართო მოხმარების საქონლის“ ორიენტაციას ყველაზე მასობრივ მკითხველზე და; პირიქით, ვიწრო-ელიტარულ მიზანდასახულობას, რომელიც წინდაწინვე უარყოფს საყვედურს აუტანლობისა და მოსაწყენობის გამო, ერთი მცნება აერთიანებთ — მოდა, ამა თუ იმ შემთხვევაში ხანმოკლეობასა და ეფემერულობასაც რომ ნიშნავს.

როგორ განვიხილავ ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში წარმოჩენილ თაობებს, რას ვფიქრობ ტალღებდ წამოსულ მოდაზე, ესოდენ რომ ანახლებს ცხოვრებასა და ლიტერატურაში დაზღვავებული ცოდნისა და ინფორმაციის მოკულობას? სულაც არ ვწუხვარ: მოაზროვნე ადამიანიც და ნამდვილი მწერალიც მუდამ ჩასწვდება ჭეშმარიტების ფესვებს.

თარგმან ვასილ მავლინიძე.

3 ივლისს მოსკოვში გაიხსნა ინდური ფესტივალი, რომელიც 12 თვეს გაგრძელდება. ეს იქნება ინდოეთის წელიწადი საბჭოთა კავშირში. ამ პერიოდში ჩვენი ხალხი უფრო ახლოს გაეცნობა დიდი მეგობარი ქვეყნის კულტურას, ისტორიას, ხელოვნებას, თანამედროვე ცხოვრებას.

# მ

სოფლიოში დღესაც არ განელებულა ის შთაბეჭდილება, რომელიც ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მეგობრულმა ვიზიტმა გამოიწვია. მილიონობით ადამიანი იმედის თვალით შეჰყურებდა ორი მეგობარი ქვეყნის ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს. მ. გორბაჩოვისა და რ. განდის შეხვედრამ კიდევ უფრო განუმტკიცა ხალხებს სხვაინდელი დღისა და მშვიდობის რწმენა. ამის დასტური გახდა ინდოეთის დედაქალაქში ორმხრივი თანხმობის საფუძველზე მიღებული ე. წ. დელის დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყნის ხალხებსა და ხელმძღვანელებს, დაუყოვნებლივ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მსოფლიო თავისუფალი იყოს მასობრივი მოსპობის იარაღისა და ომებისაგან.

ორი დიდი ქვეყნის ხალხთა ურთიერთპატივისცემისა და ტრადიციულ მეგობრობას საკმაო ხნის ისტორია აქვს. ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან იღებენ სათავეს და დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას. ამაზე მიუთითებს ერთი მხრივ, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, მეორე მხრივ, თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ნიმუშები, ფოლკლორული მასალები, გადმოცემები და სხვა. დასასრულს, — თანამედროვე ურთიერთობა დამოუკიდებელი ინდოეთის რესპუბლიკასთან.

ცნობილია რომ ჩვენს მიწა-წყალზე ძველთაგანვე არსებობდა ძლიერი, პოლიტიკური ერთეულები იბერიისა და კოლხეთის სახით, სადაც ცხოვრობდა მაღალი კულტურის მატარებელი ქართული მოდგმის მოსახლეობა. მათი შრომა-საქმიანობა კარგად იყო ცნობილი მაშინდელი სამყაროსათვის. ამავე დროს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველო ოდითგანვე წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის. არა ერთი და ორი საქარავნო გზა გადიოდა მის ტერიტორიაზე.

ასეთი სავაჭრო სატრანსპორტო გზა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა, გადიოდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მათ შორის კოლხეთზეც. დადგენილია აღნიშნული „მსოფლიო გზის“ მარშრუტი: ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე, შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიის ვაგლით — მდინარე მტკვარი, სურამის გადასასვლელი, მდინარე ფაზისი (რიონ-ყვირილას მაგისტრალი) და შავი ზღვის სანაპირო. ცნობილი მეცნიერი ე. ლიუსტერნაკიცი მიუთითებს, რომ ინდოეთთან ვაჭრობის მსხვილ ცენტრს კოლხეთი წარმოადგენდა, სადაც ანტიკურ ხანაში გაცხოველებული ვაჭრობა იყო ინდური საქონლით.

თუ გადავხედავთ შუა საუკუნეების ვრცელ პერიოდს, დავინახავთ, რომ მრავალი ქართველი მოღვაწის, სამხედრო პირის, ვაჭრის, ყმისა და სხვათა სახელებია ინდოეთთან დაკავშირებული. არცთუ იშვიათად ქართველები დაჰყვებოდნენ მეგზურად და თარჯიმნად რომიდან წარგზავნილ ქრისტეს სჯულის მქადაგებელ ბერებს ინდოეთში. მაგალითისათვის დიმიტრი ტფილევიც (XIV ს.) კმარა, ხოლო გორელმა ანდრიამ (ერისკაცობაში ნასყიდამ) ისე გაითქვა სახელი ქრისტიანულ ასპარეზზე მოღვაწე-



ობით ინდოეთის ქალაქ გოაში, რომ მას თვით პატრები მიიჩნევენ წმინდანად.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ინდოეთში მყოფი ფრანგი ექიმი ფრანსუა ბერნიე (XVII ს.) დიდ მოგოლთა სახელმწიფო კარზე დაწინაურებულ ქართველებზე. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ მეფე რამრასის (XV ს.) დროს სამი ქართველი „მონა“ ისე აღზევებულა, რომ ინდოეთის სხვადასხვა ოლქის გუბერნატორებად დაუნიშნავთ. შემდეგ ეს გუბერნატორები ძალზე გაძლიერებულან, რამრასი ტახტიდან ჩამოუგდიათ და მეფის ტიტულები მიუღიათ. ფრანსუა ბერნიე იძლევა ინდოეთში სამი ქართველი მეფის „სამეფოების“ საზღვრებს, რომლებიც გადაჭიმული ყოფილა ინდოეთის სამხრეთ ნაწილში. ეს საყურადღებო ცნობა სხვა წყაროებთანაც დასტურდება: თითქმის ორას წელს მართავდნენ სამხრეთ ინდოეთში სამეფოებსა თუ სამთავროებს მათი შთამომავლები იმ დინასტიიდან, რომლის დამაარსებელი ქართველი კაცი იყო.

ამრიგად, ინდოეთი საკმაოდ ცნობილი ქვეყანა ყოფილა ქართველებისათვის. ისიც ირკვევა, რომ კალკუტაში მდრასსა და ბენარესში ქართველ ვაჭრებს თავიანთი ქარვასლები ჰქონიათ განსნილი. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ახალციხელი ლუკა და გრიგოლ ხურსიძეები, გორელი სტეფანე ზუბალაშვილი და სხვ. ზოგიერთმა ქართველმა საუკუნო განსასვენებელი ადგილი ინდოეთის მიწაზე პოვა. ამის დამამტკიცებელია ქ. ბენარესიდან კოჭრელი თამაზ ხუდაშვილის საფლავის ქვის ქართული წარწერა. მათ უნდა დაემატოს იოსებ და რაფიელ დანიბეგაშვილები, თავისი დროის გამოჩენილი დიპლომატები, რომლებიც ქვეყნის სამსახურში დაბერდნენ, ხოლო რაფიელის ნაშრომი „მოგზაურობა ინდოეთში“ წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროს XVIII-XIX საუკუნეების ინდოეთის შესასწავლად, სადაც მრავალი ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალა თავმოყრილი.

წერილობითი წყაროების გარდა, ინდოეთთან ურთიერთობა საკმაოდ კარგად ასახა თხუთმეტსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მთავარი გმირები ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ინდოელებად არიან წარმოდგენილი, მორალურად და ფიზიკურად სპეტაკნი და ძლიერნი, უბადლო სილამაზის მქონენი, სიყვარულისა და მეგობრობისათვის თავდადებულნი. ნესტანი — „ვარდი დაუმჯნარი“, „პირთა მზისაებრ ელვა-მკრთალითა“, „მელნის ტბის თვალბინი“ და ა. შ., ხოლო ტარიელი — „ტანად ედემი“, „ლომის ძალისა“. მეთორმეტე საუკუნეში უთარგმნიათ ინდურ „პანჩატატრა“ „ქილილა და დამანის“ სახით.



ყურადღებას იქცევს, თავისი დროისათვის დიდად განსწავლული სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა ინდოეთი, მისი ხალხი, ინდური ჩვევები და წესები. ეს ყველაფერი შესაბამისად აისახა მის თხზულებებში. მაგალითად, „სიტყვის კონაში“ საბა იძლევა თხუთმეტამდე ტერმინის ახსნას, რომლებიც ინდოეთს ეხება, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისაში“ საინტერესო არაკი მოჰყავს სათურით „ინდოელი ჯამბაზები“, სადაც განხილულია გარდაცვილი ქმართან ერთად ცოლის დაწვის (სატი) საკითხი.

დასასრულ, გავიხსენებ ერთ გულთბილ შეხვედრას ქ. ბომბეში. შთაბეჭდილებებით დაღლილი ერთ-ერთი სასტუმროს ვრცელ დარბაზში ვისვენებთ. გამომშვიდობებისას ინდოელ მეგობრებს გადავეცით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე (შალვა ნუცუბიძის თარგმანი) სამახსოვრო წარწერით. ინდოელები ძალზე დაინტერესდნენ პოემით, მისი შინაარსით და დაგვიპირდნენ, ამ ძვირფას საჩუქარს ინდოეთ-სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ქ. ბომბეის განყოფილებას გადავეცემთ.

მეორე დღეს, დილით, ისევ გვეწვივნენ ინდოელი მეგობრები და სამადლობელი წერილი ვადმოგვცეს:

„ძვირფასო მეგობრებო!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, საინტერესო პოეტური ქმნილების შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მოძღვნისათვის, რომელსაც შევინახავთ ჩვენს ბიბლიოთეკაში და რომელსაც წაიკითხავს რუსული ენის შემსწავლელი ბევრი სტუდენტი. გიძღვნიტ გულთბილ სალამს“.

მეტად საყურადღებოა ეს სამადლობელი წერილი, რადგან რუსული ენის შესწავლით დაინტერესებულ ინდოელ სტუდენტებს, საშუალება ეძლევათ, „ვეფხისტყაოსნის“ მეშვეობით კიდევ უფრო დახვეწონ და გაამდიდრონ. თავიანთი ცოდნა და ლექსიკური მარაგი.

„ნამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. შოთა რუსთაველმა თავისი ძარღვიანი უზადო სიტყვა XX საუკუნეშიც შეგვაშველა, კიდევ ერთი სიყვარულის ხიდი გასდო მოყვარესთან, კიდევ ერთხელ შეგვახსენა მეგობრობის დიადი ძალა, რომელსაც ეს მეგობრობა გულითადად, მართალი და მტკიცეა. აკი ინდური ანდაზაც ღალადებს, „მეგობრებს სიმართლე აღუღაბებს“.

გურამ გასიტაშვილი.



არმოების ინტენსიფიკაცია (ფრანგული, ლათინური და სხვა გაძლიერება და ვაკეთებ) — საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პროცესი, რომელიც ემყარება ტექნოლოგიურ, მატერიალურ და შრომითი რესურსების უფრო სრულ რაციონალურ გამოყენებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.

წარმოების ინტენსიური განვითარება მკვეთრად განსხვავდება ექსტენსიურისაგან, რომელიც გულისხმობს წარმოების შემდგომ ზრდას წარმოების საშუალებებისა და მომუშავეთა რაოდენობრივი გადიდების გზით.

70-80-იან წლებში სახალხო მეურნეობა ძირითადად გაფართოებული კვლავწარმოების ექსტენსიური გზით ვითარდებოდა. წარმოება უმეტეს წილად იზრდებოდა მასში რესურსების, კერძოდ, შრომითი, ნედლეულისა და ენერგეტიკული მიზიდვის ხარჯზე. მაგრამ ასეთი ზრდის შესაძლებლობები საკმაოდ შემცირდა უმნიშვნელოვანესი საწარმოო რესურსების შემცირების შედეგად. ამან გამოიწვია ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების შემცირება. თუ 60-იან წლებში ჩვენთან ეროვნული შემოსავლის წარმოება წელიწადში იზრდებოდა 7 პროცენტზე სწრაფი ტემპით, ხოლო 70-იან წლებში — 5 პროცენტით, 80-იან წლებში იგი წელიწადში 3-4 პროცენტის ფარგლებს არ სცილდება.

ამ ტენდენციის შენარჩუნება საფრთხის წინაშე დააყენებდა ეკონომიკის განვითარების პროგრამის შესრულებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სათანადო დონეზე შენარჩუნებას.

მეთორმეტე ხუთწლეულში გადაწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას ეკონომიკის ინტენსიური განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის პროგრამაში ცენტრალური ადგილი უკავია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას. მომავალი 15 წლის მანძილზე იგი 2,3-2,4-ჯერ გაიზრდება. ამგვარად, უკვე ჩვენი საუკუნის დასასრულამდე გადადგმული იქნება გადაწყვეტი ნაბიჯი იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გათანაბრებას უშაღლეს მსოფლიო დონესთან.

„ბრინჯისი“ (ინგლისური მწვანე, მშვიდობა) — საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ბუნების დაცვის მომხრეებს აერთიანებს. შეიქმნა 1970 წელს ალექსის კუნძულების რაიონში ამერიკელების მიერ ატმოსფეროში ბირთვული იარაღის გამოცდის პროტესტის ნიშნად.

განვლილი წლების მანძილზე ორგანიზაციამ 150-ზე მეტი მნიშვნელოვანი აქცია ჩაატარა. მათ შორის ფართოდ არის ცნობილი დემონსტრაციები ამერიკის „ტრაიდენტის“ ტიპის წყალქვეშა ნავების ბაზასთან, ბრძოლა აშშ-ის რკინიგზებზე რადიოაქტიური ნივთიერებების გადატანის წინააღმდეგ და სხვ.

ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდებით მოქმედებს: მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, აგრეთვე აწყობს მანიფესტაციებს, მონაწილეობს სასამართლოების საქმიანობაში, სადაც ტრადიციული ბურჟუაზიული კანონმდებლობის ყველა შესაძლებლობას იყენებს. სწორედ კანონმდებლობის გამოყენების შედეგად გატარდა „გრინპისის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქცია: მოძრაობამ სამართალში მისცა ამერიკული ფირმა „ინკო“, რომლის საწარმოთა მიწებით კანადის თავზე „მუავიანი წვიმები“ მოდიოდა.

ბირთვული საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მოძრაობას ავტორიტეტს უქმნის. 1985 წელს „გრინპისი“ 15 ქვეყნის 1,2 მილიონ წევრს ითვლიდა. ამჟამად მოძრაობას სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 30 წარმომადგენლობა აქვს.

„სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“ — კომპოსური ბაზირების მქონე რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის ფართომასშტაბიანი სისტემის შექმნის პროგრამა, ანუ ეგრეთწოდებული „ვარსკვლავების ომების“ პროგრამა.

„სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შექმნის ოფიციალურ მიზნად ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების უზრუნველყოფა ცხადდება. სინამდვილეში ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, მიღწიოს სამხედრო, მეცნიერულ-ტექნიკურ უპირატესობას საბჭოთა კავშირზე, შექმნას იარაღთა სისტემების და მათი საბრძოლო მართვის საშუალებების პრინციპულად ახალი სახეობები, რომელთა საბრძოლო ეფექტიანობა მრავალჯერ აღემატება აქამდე არსებული იარაღის სიმძლავრეს, გადაიყვანოს საბჭოთა კავშირთან შეკიბრი „ტექნოლოგიური“ მეთაქმობის რეღსებზე.

მსოფლიო ანტიკომუნისტური ლიბა — ანტიკომუნისტური უკიდურეს მეზარკვენი პოლიციებზე მდგომი საერთაშორისო რეაქციის გაერთიანება. შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობის ქვეშ სეულში (1966 წ.) „აზიის ხალხთა ანტიკომუნისტური ლიგის“ ბაზაზე. ლიგა აერთიანებს რიგი ქვეყნების ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებს, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნეოფაშისტურ ორგანიზაციებს, დასავლეთ გერმანიის რევანშისტებს, ულტრამემარჯვენეებს ლათინური სახელმწიფოებიდან. ამერიკული ბურჟუაზიის უკიდურესად კონსერვატიულ წრეებს, კონტრარევოლუციური ძალების წარმომადგენლებს, რომელთა მეშვეობით ცენტრალური სადავრეგო სამმართველო შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კანონიერი მთავრობების წინააღმდეგ.

ეთერ რაპპიაშვილი

დროშა 17

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ავტონომიური რეპუბლიკის მინისტრობები



ზე უკვე ამოეფარა ახლად გაფოთლილ ცაცხვებს. კოლოები გუნდ-გუნდად შემოწუმწუმებდნენ ფანჯარაში და ჰკბენდნენ ნებსლიუდოვს. როცა პროექტის წერის ვათავებისას სოფელში დაბრუნებული ნახირის ბლავილი, ეზოს ჭიშკრის გაღების ჭრიჭინი და გლეხების ხმაური გაიგონა, მოურავს უთხრა, რომ გლეხები კანტორაში არ გამოეძახნა, არამედ თვითონ წავიდოდა სოფელში, იქ, სადაც გლეხები მოისურვებდნენ შეკრებას.

ბრბოს ყუიანი ისმოდა მამასახლისის ეზოსთან. როგორც კი ნებსლიუდოვი მივიდა, ლაპარაკი შეწყდა, და გლეხებმა, როგორც კუზმინსკოეში, ერთიმეორის მიყოლებით ქუდი მოიხადეს. აქური გლეხები კუზმინსკოელებთან შედარებით უფრო დაბეჩავებულად გამოიყურებოდნენ. როგორც გოგობს, დედაკაცებსაც გაკეთებული ჰქონდათ თისა და ბეწვეულის საყურეები, ხოლო მამაკაცები შინმოქსოვილი ლაზლის პერანგებსა, ხიფთანებსა და ქალამნებში იყვნენ. ზოგიერთი ფეხშიშველი, პერანგისაშორა მოსულიყო პირდაპირ სამუშაოდან.

ნებსლიუდოვმა მოიკრიბა ძალა და იმ განცხადებით დაიწყო სიტყვა, რომ განზრახვა მაქვს მიწები მთლიანად გლეხებს გადამოვცეთო. გლეხები სდუმდნენ. მათ სახეებს არავითარი ცვლილება არ დასტყობია.

— იმიტომ რომ ჩემი აზრით, — თქვა და სირცხვილმა წითლად გადაურბინა ლოყებზე ნებსლიუდოვს, — მიწას არ უნდა ფლობდეს ის, ვინც თავისი ხელით არ ამუშავებს მას და ყოველ ადამიანს უფლება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს მიწით.

— აშკარა საქმეა. ეგ აგრეც უნდა იყოს სრული ჰემმარიტება, — გაისმა გლეხების მოძახილი.

ნებსლიუდოვმა განაგრძო იმ აზრის განვითარება, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო ყველას შორის მიწის შემოსავალი. ამისათვის წინადადებას აძლევდა გლეხებს, მიეღოთ მისი მიწები განსაზღვრულ საიჯარო ფასებში. ფასები კი თვითონ გლეხებს უნდა დაეწესებინათ იმ პირობით, რომ მათ მიერ დადგენილი საიჯარო გადასახადებიდან შემდგარიყო მათივე საკუთარი საზოგადოებრივი თანხა, რომლითაც თვითონ გლეხები ისარგებლებდნენ. ხალხში თანხმობის და მადლობის სიტყვები ისმოდა. მაგრამ გლეხები თანდათან ჩაფიქრდნენ. ამდენ ხანს ბატონს მიპყრობილი თვალეები ძირს დახარეს. თითქოს ერიდებოდნენ ბატონის შერცხვენას, რომ მიუხედავად ეშმაკობას და ამიერიდან ველარ შეძლებდა მათ მოტყუებას.

ნებსლიუდოვი გასაგები ენით ელაპარაკებოდა. გლეხებსაც ესმოდათ, მაგრამ ვერა ვაუგეს რა იმ მიზეზის გამო, რა მიზეზითაც მოურავი დიდხანს ვერ მოუხვდა, თუ რა ჰწადდა ნებსლიუდოვს. გლეხები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ყოველ ადამიანს ძვალსა და რბილში აქვს გამჭდარი თავისი პირადი სარგებლიანობის დაცვა. განსაკუთრებით შემამულეთა შესახებ მათ რამდენიმე თაობათა მავალითებზე გამოცდილებით იცოდნენ, რომ შემამულე მუდამ გლეხების საზარალოდ თავის სარგებლიანობას იცავს. იმიტომ, თუ შემამულე იხმობს გლეხებს და სთავაზობს მათ რაიმე ახალს, ცხადია, ამას იმ განზრახვით სჩადის, რომ კიდევ უფრო მოხერხებულად მოატყუოს ისინი.

— აბა, რას ფიქრობთ, რა ფასებში აიღებთ მიწას? — შეეკითხა ნებსლიუდოვი.

— რა უნდა ვიფიქროთ, ან რა უნდა დავაფასოთ? მიწა თქვენია, უფლებაც თქვენი, — მიიღო ბრბოდან ზოგიერთების პასუხი.

— არა, მიწაც თქვენი იქნება, ფულითაც თქვენვე ისარგებლებთ საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

— ჩვენ მაგის თავი არა გვაქვს. საზოგადოება სხვაა, ეს კი სხვა საქმეა.

— გაიგეთ, ხალხნო, — ღიმილით მოინდომა ნებსლიუდოვის შემდეგ მოსულმა მოურავმა საკითხის განმარტება, — თავიდან გაძლევთ თქვენ მიწას, ოღონდ უნდა იხადოთ ფული, და ეს ფული მთლიანად თქვენვე დაგროვებთ, როგორც თქვენი კაპიტალი, თქვენვე საერთო საჭიროებისათვის.

— ძალიან კარგად გვესმის, — მიუგო ზევით აუხედავად უკბილო, პირქუშმა მოხუცმა. — ეს იმნიარადვეა, როგორც ბანკში, უნდა ვინადოთ და ვინადოთ თავთავის ვადაზე. ეს ჩვენ არა გვსურს. ისედაც ლოლად გვაწევს გადასახადები. ეს ხომ სულ გავგანადგურებს.

— ეს არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი. ისევ ძველებურად ვიყოთ, — უხეშად აყბედდნენ უქმაყოფილონი.

— და კიდევ უფრო სასტიკ უარზე დადგნენ, როცა ნებსლი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აღსკრება“

უდოვმა განუცხადა, რომ ის დაწერს პირობას, რასაც თვითონაც ხელს მოაწერს და გლეხებმაც უნდა მოაწერონ ხელი.

— რა საჭიროა ხელის მოწერა? როგორც ვიმუშავებ, ისე ვიმუშავებთ. ეგ ყველაფერი რის მაქნისია? ჩვენ უვიციი ხალხი ვართ.

— არა ვართ თანახმა იმიტომ, რომ ეგ ჩვენთვის უჩვეულო საქმეა, როგორც აქამდე იყო, ისე დარჩეს. ოღონდ სათესლე ხორბლისაგან გავგათავისუფლოთ — გაისმა ხმები.

სათესლე ხორბლისაგან გათავისუფლება ნიშნავდა დადგენილი წესის გაბათილებას; რომლის მიხედვითაც, სათესლე ხორბალი თვითონ გლეხებს უნდა გაეღოთ. გლეხები კი ითხოვდნენ, რომ ეს ხორბალი ბატონის ყოფილიყო.

— მაშასადამე, უარს აცხადებთ, არ ვინდათ აიღოთ მიწები?

— მიმართა ნებსლიუდოვმა შეკითხვით ერთ სახეგაბრწყინებულ, ფეხშიშველა შუახნის გლეხს, რომელსაც დაფლეთილი ქურთუკი ეცვა და დაგლეჯილი ძველი ქუდი ისე ეჭირა მარცხენა ხელში, როგორც ჯარისკაცებს უჭირავთ ქუდი კომანდის წინ.

— ასე, სწორედ, — მიამხა, ალბათ, ჯერ კიდევ ჯარისკაცობის პიპნოზისაგან შეპყრობილმა გლეხმა.

— მაშასადამე, თქვენ საკმაო მიწები გაქვთ? — ჰკითხა ნებს-  
ლიუდოვმა.

— არამც და არამც, — უბასუხა ყოფილმა ჯარისკაცმა, რო-  
მელსაც ხელოვნურად მიღებული მხიარული სახის გამომეტყვე-  
ლება მიეღო, და ისეთი მოწადინებით გააშვირა თავისი დაგლე-  
ჯილი ქუდი, თითქოს აწვდიდა მსურველს, თუკი განიზრახავდა  
იმის წართმევას

— მაშ, კარგი, ყოველ შემთხვევაში, მოიფიქრეთ, რაც გითხა-  
რით, — უთხრა გაკვირვებულმა ნებსლიუდოვმა და გაუმეორა  
თავისი წინადადება.

— მოსაფიქრებელი არაფერი გვაქვს: რაცა ვთქვით, ის იქნე-  
ბა, — მწყურალად მოუჭრა პირქუშმა მოხუცმა.

— ხვალ კიდევ აქ დავრჩები. თუ გადაიფიქრებთ, გამომიგ-  
ზავნეთ ვინმე, შემატყობინეთ.

გლეხებმა პასუხი არ მისცეს.  
ამრიგად ნებსლიუდოვმა გლეხებთან ვერა გააწყო რა და ვაბ-  
რუნდა კანტორაში.

— უნდა მოგახსენოთ, თავადო, — უთხრა მოურავმა, როცა  
შინ დაბრუნდნენ. — გლეხებთან ვერ შეთანხმდებით, ვერას ჩა-  
ავთნებთ, ჯიუტი ხალხია. მაინც, როცა ყრილობაზეა გლენი, მიაბ-  
ჯენს ფეხს და ვეღარ დაძრავ ადგილიდან. იმიტომ, რომ ყველაფე-  
რის ეშინია. აი, რომელიც ვნებავთ, აილეთ მაგათში, თუნდაც ის  
ჭალარა ან შავგვრემანი, რომელიც არ გეთანხმებოდით, ჰკვიანი  
გლეხებია. როცა შემოვა რომელიმე მათგანი კანტორაში, მიიპა-  
ტიყებ ჩაიზე, — ღიმილით უამბობდა მოურავი, — დაჯდება, და-  
ვიწყებს ისეთ ლაპარაკს, რომ პირდაპირ ჰკუის კოლოფია, სამი-  
ნისტრო კაცი არის, ყველაფერი ისე განჯის, რომ თქვენი მოწო-  
ნებული. როგორც კი ყრილობაზე მივა, სულ სხვა კაცია, დაი-  
ქინებს ერთ რამეს, და მორჩა...

— მაშ, არ შეიძლება დაგუძახოთ აქ სწორედ მაგისტანა  
შეგნებულ გლეხებს, რამდენიმე კაცს? — უთხრა ნებსლიუდოვმა,  
— დაწვრილებით ავუხსნიდი მე მათ და ჩავაგონებდი ყველაფერს.

— ეს შეიძლება, — თქვა მოლიმარმა მოურავმა.  
— მაშ, გეთაყვა, ხვალისათვის დაიბარე.

— ეს ყველაფერი შესაძლებელია, ხვალისათვის შევკრებ, —  
მოახსენა მოურავმა და კიდევ უფრო მხიარულად გაუღიმა.

\* \* \*

— დახე, რა მოხერხებული კაცი ყოფილა! — ქანობდა გა-  
მაძლარ ფაშატ ცხენზე გადაძვადარი შავგვრემანი, მუდამ წვერ-  
დაუვარცხნელი გლენი და თან ესაუბრებოდა მოხუცებულს, გამ-  
ხდარ, დაგლეჯილხიფთანთან თანამგზავრს, რომლის ცხენი მიაჩ-  
ხარუნებდა რკინის ჯაჭვს.

ორთავენი მიდიოდნენ, რათა ღამით ცხენებისათვის ეძოვები-  
ნათ ჯერ შარავნის პირად და შემდეგ ფარულად ბატონის ტყე-  
ში.

— მუქთად მოგცემთ მიწებს, ოღონდ ხელი მომიწერეთო.  
თითქოს არ ეყოფათ, რაც მაგათ ჩვენისთანები გაუბრძოლებიათ.  
არა, ძმაო, ვერ მოგართვებს, ეგ ხრიკი არ გავივა, ახლა ჩვენც  
ცოტა რამე გვესმის, — დასძინა მან და დაუწყო ძახილი ჩამორ-  
ჩენილ გაკრეჭილ კვიცს. — კონიაში, კონიაში! — გაჰყვიროდა ის,  
შეაჩერა თავისი ცხენი და უკან იხედებოდა. მაგრამ გაკრეჭილი  
ბაჩა უკან კი არ ჩამორჩენია, გვერდზე გადაუხვიდა და შეიჭრა  
სათბ მინდორში.

— დახე, მამაძალი, როგორ შეეჩვია ბატონის სათბს, —  
ჩაილაპარაკა წვერგაწეწილმა, შავგვრემანმა გლენმა, როგორც კი  
სურნელოვანი, უკვე დაცვარული, ნესტიანი მინდვრიდან მოესმა  
ეკალნარის ტყაცუნის და ჩამორჩენილი კვიცის ჰიხინი.

— გესმის, ეკალი და ღვალა მოსდებია სათბებს. უქმე დღეს  
დღედაცები უნდა გამოგზავნოთ, რომ გამოთხარონ და გაწმინ-  
დონ სანახევროდ აღებული სათბები, — თქვა ზიფთანდაგლეჯილ-  
მა გამხდარმა გლენმა, — თორემ თიბვის დროს ცელებს დაგვი-  
ტვრევს.

— მოაწერეთ ხელიო, გვეუბნებოდა, — განაგრძობდა ბანჯგე-  
ლიანი გლენი მსჯელობას ბატონის სიტყვის შესახებ. — მოაწე-  
რეო, მოაწერე და ცოცხლად გადაგყლაპავს.

— აგრეა სწორედ, — დაუდასტურა მოხუცმა.

მეტი აღარა უთქვამთ რა. გატყვევებულმა გზაზე მხოლოდ ცხენთა  
ფეხების თქარათქური ისმოდა.

# ნიქოს ჯალი

ნოდარ შამანაძე.



ინია ფოლკლორული  
გადმოცემის პერსონა-  
ჟია. იგი იყო გამრჩე  
გლეხკაცი, ჰქონდა საუ-  
ცხოო ბალი. ენაკვიმატი  
და ოხუნჯი გახლდათ. იცოდა უამრავი  
შაირი და ანდაზა, რომელთაგან  
მეტი წილი თვითონვე შეუთხზავს.  
ბილი სტუმართმოყვარეც ყოფილა.  
მის მოსწრებულ სიტყვას ხალხი თა-  
ობიდან თაობებს გადმოსცემდა.

ახე მოაღწია ჩვენამდე ამ სათნო  
გლეხკაცის მახვილსიტყვაობამ.

უნდა ვთქვა ისიც, რომ მთელი  
ჩვენი ფოლკლორი მიმართა „ნინიას  
ბალად“, რომლის კარი მუდამ ღიაა  
— ყველას შეუძლია შევიდეს, ხილი  
იხილოს, დატკბეს, ისიამოვნოს, მოხა-  
რული ვიქნები, ამ პაწაწინა სხარ-  
ტულესაც „ნინიას ბალში“ მოკრე-  
ფილ ხილად თუ მიიღებს მკითხველი.

● ნინიასთან ერთი ტლუ ჰაბუკი  
მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხო-  
ვა. ნინიამ კარგად მიიღო, ბუხართან  
დასვა და სუფრა გაუშალა. სასიძომ  
პაპირისი ამოიღო. ასანთი კი ჯიბეში  
რომ არ აღმოაჩნდა, სასიდედროს  
სთხოვა.

— ავუზგუზებულ ბუხართან ზი-  
ხარ და ასანთს თხოულობ? ეჰ, შენ  
ცხოვრება გავგიჟირდება, — თავი გა-  
დაიქნია ნინიამ და გოგოს მითხო-  
ვებაზე უარი უთხრა.

● სიტყვამ მოიტანა და ნინიამ  
თქვა:

— ჩემს მეუღლეს ცული მესიერე-  
ბა აქვს.

— ყველაფერი ავიწყდება?  
— არა, ყველაფერი ახსოვს...

● ნინიას კარის მეზობელი შეხვდა  
და დანალგლიანებულმა ჰკითხა:

— გაიგე, რა უბედურება დატრი-  
ალდა?

— რა?

— ჰაჰას ცოლი ყვირილაში გა-  
დავარდნილა!

— საწყალი ქალიო...  
— არ დამხრჩვალა, ვიღაც ჰაბუკს  
გადაურჩენია.

საწყალი ჰაჰაია!..

● ნინიას მამა გარდაეცვალა, ჰია-  
თურაში. მიცვალებულის ჩამოსასვენ-  
ებლად ეტლი დაიქირავა. გასამრჩე-  
ლოზე წინასწარ არ შეთანხმებულან.  
რომ ჩამოასვენეს, მიეტლეს თუმ-  
ნიანი გაუწოდა. მან იცოტავა:

— მკვდარი კაცი ჩამოგიტანე და  
თუმანს შაძიე?

— მკვდარი რომ ჩამომიტანე, მი-  
ტომ გაძლევ თუმანს, თვარა ცოცხა-



ლო რომ ყოფილიყო, თავისი ფეხით  
ჩამოვიდოდა სულცხოვებული, —  
მიუგო ნინიამ.

● შემოდგომის გადამბულმა წვი-  
მებმა ყვირილა უჩვეულოდ აადიდა.  
წყალმა ნაპირები გადმოლახა, პატა-  
რა ქალაქის ისედაც მორყეული ხილი  
მიანგრ-მოანგრა და რიონისკენ გა-  
უყენა გზას.

იქნებ ცოტაოდენი გროშები ვი-  
შოვნო, ნინიამ თავისი ბედაური  
ხარები შეაბა, ყვირილას ფონი მო-  
უნახა და ხალხს გადაყენა-გადმოყ-  
ვანას შეუღდა.

— მეც ვადამიყვანე რა, — სთხო-  
ვა ნინიას ჰაბუკმა, რომელსაც ეტყო-  
ბოდა საქმე სულაც არ ჰქონდა გალ-  
მა, მხოლოდ ურმით გასეირნება სუ-  
რდა.

— ფული მომეცი და გადაგიყვან,  
— შეპირდა ნინია.

— ფული სადა მაქვს, ჯიბეცარიე-  
ლი ვარ.

— ჯიბეცარიელი, შვილო, გინდა  
გაღმა ყოფილხარ და გინდა გამო-  
ღმა!..

● ომი უკვე სამი თვის დაწყებუ-  
ლია. პირველი სექტემბრის ნალგლია-  
ნი დილაა. გზაზე ზურგანთაგადაკი-  
ლებული ბიჭუნა მიზოზინებს, სკო-  
ლაში მიდის.

— გიხარია, ბიჭო, სწავლა რომ  
დაგეწყო? — ჰკითხა ნინიამ.

— შენ გიხარია, ომი რომ დაი-  
წყო? — კითხვა დაუბრუნა ბიჭმა.

● სანახშოზე გლეხკაცებს მოეყა-  
რათ თავი. ერთი შათვანი რალაც ამ-  
ბავს ჰყვებოდა, სხვები უსმენდნენ.  
ნინიას არ მოეწონა მისი ლაპარაკი  
და მეზობელს წაუწურაჩულა:

— შტერია!..

ჩურჩულს ამბის მომყოლმა მოჰკ-  
რა ყური, ლაპარაკი შეწყვიტა და  
ნინიას შეუბღვირა:

— მე ვარ შტერი?!

— როგორ გეკადრება. ვანა შენს  
მეტი აღარავინაა შტერი ამ ქვეყა-  
ნაზე?

● მონადირე თუთიყუშს ყიდა.

— რა ღირს? — ჰკითხა ნინიამ.

— მანეთი.

— მოგცემ მანეთს, ოღონდ მი-  
თხარი: თოკი ორივე ფეხზე რატომ  
გამოგიბია?

— მარჯვენა ფეხს რომ დაქეჩაივ,  
იმღერებს, მარცხენას რომ ჩამოვწევ,  
ილაპარაკებს.

— ერთდროულად რომ ორივე  
ფეხზე ჩამოქეჩაივ?

— წვიკიყვი, შე შტერო, — შეს-  
ძახა თუთიყუშმა.



მწერალ-ავადმეიკოსი გრიგოლ ახაშიძე და გივი ელიავა.

და ერთ-ერთი ვითომ სხვათაშორის იტყვიან:

— ეტყობა, ცოლად დიდ საგანძურს მიავიციე, ასე რომ მოხერხება ამ აღმართზე სიარული...  
...სახლს რა გამოეპარება. ასხუთ გივი ელიავას თაოსნობით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს რა ძალა შეაღწიეს გათხრებს, ვიდრეცაღი, ლახინ-ლაღიანი, ლეძამები... მერე ამბობს გივი ელიავას: მაშინ მიკვლავდი ციკლს, ფოტოებს, ცერამიკულა ნაგებობებს, სასაფრეოებს, ბეჭდვებს, აქვსაბამებმა თუ მიიგებებმა ბერიკ ამ მოთხრობა ხაზს ამ ეტობის ექვტურასა და ისტორიაზე...  
...ეველა წერილსა და მსგავსებს განიხილებინა ზოგს სხვადას. ზაქვას ფურცლები ერთხანს დედასა და გივი ელიავას საგანძურს და მერე ეველზე ჭარბად იტყვიან:

— სანადღის დადებ, ახლა გივი ეველი მარტვილის ტრამირი იქნება. უცხოზნობისა სპარბანებლის თუ არ ვახლო, წინაპრთა სიძველეს მხოლოდ თუ არ მოიპარა, ისე არ დაიწერეს სამშობლოში სკვპს.

— ამ დროს მოსაუბრებებმა გვიკვლიდნენ იცინა, რომ აბდეთის გათხრები მართლაც სულ მალე ალაპარაკებს მცენებრებს.

...ისტორიის მასწავლებელი იყო, კარგი მასწავლებელი. არც ურიაგ დირექტორი გასაღდათო იტყვიან. მერე პარტიკომისტი იტყვიან: გივი ელიავას, სკვპ მოგვცა, მაინც ვერ უღალატა ჩვეულებას. ისევე გატყვიან აგრეთვე ძველ ნივთებს, ეთნოგრაფიულ მასალას.

— კვიცი ვაგრეხ ხატისა... მაშინ ძვირული ამბობდნენ... მაგისმა მამამ მარტვილ-ეგვიფტსკისთან... ცი არა, ურიაგის სკვპებზე... იცინა ხეობაში, მოგვცა მით ერთ-ერთი ცენტრალური გახვით წერდა: პარტიკომისტის ერთი კვება და-იკავა პალეოლოგისა და ბიანჩაოს ხანის მკვლელთა კანკანა, ჩანაწერ-ლიტერატურა, ტოპონიმებმა, შრიფის ეველს ითავა.

...ელებს თანათან ფართობებზედა ბოლოს ეველა იმ ახრამდ მივიდა, რომ პარტიკომისტი ეთნოგრაფიულ მუზეუმს დაეგეგმავს და ის ერთ დაწყებულზე ერთ მუქევე უკვლას მოთავსებდათ.

...სე გახდა გივი ელიავა გეგმატორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი. 1957 წელს მის მშობლივ ერთი თანამშრომელი ყველა — დავით ვაჩიანიც ამ დღიდან თანხთან გვაშლა ერთხან ექვტურის ამ ეკრამ და დიდი ხანია, შელობდა თავის ექვს.

...ნივა-ნება ეველბოდა ქვემოთ. არ ჩქარობდა მისი უღელს ფოტო ვეცო წინაპრების ეველსა. გივიმაც, მდილობა წყარომ გავუნდაცა.

...სეთ დროს გეგმატორის რაინის რომელ სოფელში გავუყვებენ ფოტოს ძაგს თავიანთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორისა. აბეთაულობე უხმოროდ, მუქმოდ უღელდნენ გვერდს, ებო მი-ხევიან, რაღაც დიდი, დათვლებულ სკვპს რომ შეეპყრო ეველსათვის ახლავალი ადამიანის გვილი და გონება.

...მოგვიანებით, სკოპინოს რომ დაბან-ნავეებმა, ბალ-ბოსანის მიხედვან და ერთ-მანეთთან სასაფრეოდ მიიცილან, შედა-რებით ხანდაზმულს მამაც უკუვლავ-დები გახსენებდა გივი ელიავას ფოტო-ბანი სახე, უფროდ მონახებენ ერთხანის

ზომელ რაინებსაც ვადაწყვედა — აბა-შას, ცხაიანი, ჩხორაფუს.

1960 წელს, რიდისაც პირველი გამო-ფენა გაიხსნა, მაშინ კონსტანტინე გმან-ხელმძღვანელობდა დირექტორისა და ში-სი თანამშრომლების სკვპებთანა. შეუ-ქვედებით გვირგვამ უწინა ვაქვამ-თოფურის კო შთამუქმდებნათა წევრნი ჩაუტურია. მუზეუმის განსაცდებლობა უმჯობესი დროში ასე სრულყოფილი გა-მართდა და ფორდენად განსა სიერ-თოდ ერთმოდელ მიუღებდა უწინ ჩიავთ-ლოსო.

...რა შვილი მუზეუმმა არსებობის თით-ქმის სამი ათეული წლის მანძილზე? ბე-ვი რა ბა, ჩამისათვალავად ექ მძლია. რად ღირს თუდამ ვიუკალიტორი სკვ-ტორის სკვპსა, რომლებიც ადგილობ-რივ ძალბებან ერთად, ყველაფრის მო-წარმებლები რესპუბლიკის ცხოვლი მუ-ზეუმები, თეორიული კონფერენციები.

# გაუზენაიკი მსუბიჯი ჩაიოლსეი

## ანუ სავსე მსოფრია პასისა

რამდენიმე სკვპტრანინი ტომი — ოთხი რაინის ტომისმცოდნეობის გამოკვლევა (მას მდელი შეფასება მისცა არბოლ ჩიკო-ბაძემ და გამოსცა კვიცი მისი ერთი ნაწი-ლი) ეთნოგრაფიულ აბლას, რუბინმა...  
...თუკაც, რომს ურის უნივერსიტეტის პროფესორი, ფერხან გვირგვინსა რე-დაქტორის პირველ ფენისში მოვლესთანა-შაქრის გივი ელიავას და მის თანამშრო-მლების უდიდესი ველთათვის მდლობა იმ თანამშრომლისათვის, რომელიც მათ გა-მიწიყეს გეგმატორის მხარეთმცოდნეობის



მუზეუმში მოქმადის დროს ამ შეგო-რებული მუზეულის ტოპონიმებისა და ლექსების მასალები ძალიან საყურადღე-ობა და იმის მიწივობის, რაოვინ მნიშ-ვნელობა და პატრიოტულ სკვპს ეველი-ს უმჯობესი შეცვლინა. მანის ვეის ლექსმცოდნეობით, პირდაპირ გამოკვე-ტვდა ვარ, რადიანი ორბიძის და რა ბრე-წავლ შედეგებიც სკვპტრანინის ისტო-რიაში მოიხილბა. ექვტურები ამ ევენიერი მუზეუმის მთელ უფროდის დაწესებუ-ლებების კოთლ დათხრობას, მომოს-სეგებებს სრულ შეტარებებსა და ახალ-მხალ წამბებებს სკვპტრანინის ისტო-რიაში და ეთნოგრაფიის შექველვის და-რე-

...გარჯ მუზეუმი წიქის, მკვირფის ბა-ტონის მთელი კვირის წინ მიავიყენებ ინ-ფორმაციას და დავიწყო ომბინობივად გა-მომხატვლო წევრების ლიფინი... ძალიან ეწვეება, რომ დასტურავთ აქვინი ნაწი-ლიანი "მეგრული ტოპონიმები" და გათხივთ, თუკი ასეთი კოლბორისა მდობ-და, გამოიძიებანებით კვიცი ერთი თა-ლი... ხომლი მეთრე წერილობა იგი თა-ხის ზუსტად მისწრონ რადენიმე მე-გრული ხანის წარმოების შესახებ და თან მოიტყვლებით დასკვნას: "ხომ იციო, რომ ვიკვლავლად ამდგენავა თვენი ნაწიქვანი წიქინი."

...სეთი ბარათები მრავალდა გეგმატო-რის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში...  
...ვარ გეგმატორი მუზეუმის დირექტო-რის კამბიბოდა ვიწყო, თუ წიქების, ეთნოგრაფის, ხელნაწერების სოფელ ქმნის ასეთ შთამუქმდებლას გივი ელიავამ ეს-სესა დათხროვა უფროდის მომხატვლი-სებში... ვეგვილ-მწიფობდა დამსკვ-ტრის. მანვე შეუადგინდა დათხრობა აბ-სტეს, ექვსმა, თუ კარია ვაქვთ, თუ სკ-ტრის მანია მოივადავდა, მოესკენინა, მუ-ღამ დღეობა მუქით გათხრობის სკა-მეგებების, დალას ვინ შეტაროს ამ დროს უკრავ აწყვის, სოფელს და სკ-ტრის მთელს რთულ ხელნაწერებს, ერთ-ხელ მას გივი ელიავა სკვპისა და გვირ-გინა ფოტო, ძველი კოლბორი კარხის შეგოვების ვაიბრები.

...თუკი გეგმატორი ერთი ღვინი ცხოვრობდა, კარგი მუზეუმი, მხოლოდ თა-ვის შეკვლირეთათვის ვერ შეუგებებია ვეის მთელს რთულ ხელნაწერებს, ერთ-ხელ მას გივი ელიავა სკვპისა და გვირ-გინა ფოტო, ძველი კოლბორი კარხის შეგოვების ვაიბრები.

— ახლავე წიქლი, შვილი — შევედრე-ბის მიხებო. ჩემმა შვილებმა მინც ამის ფასი არ იყიან, ვადათხრობენ...  
...მას დავიწყო მან ეველი ერთი კვილი სკვპს დღეს მუზეუმის მკვლელთა ეველი მრავალ ექველვის რომის ხარხარს

...ეს მოხდა გეგმატორის ეთნო-გრაფიული რესპუბლიკის ერთ პატარა ქალაქში. თოჯინა აქა-რე ვარ ისევ იღო, მაგრამ მარ-ტვილს უკვე აბეჭდებდა ფო-ტოგრაფიისათვის დიდი რაოდენობის რე-ბელ დღეა... არც მდინა იყო-და და ბრეკბანა (ქვლელა ჰოდა, აბრეკბანა ბიბიმა, რე-ლუმბის ეთნოგრაფიის მუზეუმის და გაიცინა ქალმა ეს ვერ შეტარბა.

...ეწინებმა ხელის პირთან მი-იტანა და დალავინა: — ჩემის წერილზე გვიციხე-ბით, არ ვინახათ...  
...გვალბობთ, ჩემი კარგე-ბით... მთელი ქალმა, სკვპტრანინი და აქვით მან იტყვიან, მარ-ტვილს ვიცი.

...ბიჭებმა მხამალი ხარხარის აბეტის. მიხეტი ქალი ნდე-ლობდა შეუყურებლად აქვით-ლობს...  
...ლოცავს... სკვპტრანინი და აქვით მიწზედ დათვარდა. მერე, რიგირავს იქნა, ზინი დიდი გათხრობებით ადოი და ვხსა გოუდა.

...ის ქალი უცხოვალა? — კვიბის მასწავლებელი...  
...როგორვი არა? — მთე-ვი მამ. — დეპოთ, ვინახავთ კვიცი ამ მინე დღეების შექ-მდე თმა სულ გათუთობდა,

...კოლონი და ჩემი ფენი...  
...ეველი რა, ვაქვით და პოლს...  
...ისტორიისათვის, ისტორიულ მუზეუმში...  
...თა ცხილდებდა გივი ელიავამ კვიცი...  
...ლოსი წიქელი ვეის სკვპისათვის გამო-ავალი სკვპისათვის შენისა, ნიდავის ეთნოგრაფიის ხალხურს, ფოტოებს...  
...ეწინებავთ გივი ელიავა ლეძამების ლექსმცოდნეობის მუზეუმში...  
...დასწიქებისათვის რაინის ცხოვლი ადამა-ნია მოსავალიც სკვპისა მთავრებს ამ იქნეს ახალბედათა შედგომებთან მისი სკვპისა მომხატვლობა და დასკვრები-სა და მისი სკვპისა მომხატვლობა ეწინა იყო ქვეშ მისი მომხატვლობის ცხოვრ-ბივად მუზეუმის მომხატვლობის რთულ-ბეჭდვით მუზეუმისათვის აბრეკ-ბის ამ რომელიც სოფლის მასწავლებ-ლი ვაქვით... გივი ელიავა ფოტოგრაფი-ული სხე შეტარების საფუძვლზე მანვე თავადვე ადგილად იტანებოდა, რას ნი-შნის, რაღაც ეველი მისი მომხატვლობის მთლიან თავის მშობლივ სკვპის ავტობის.

...სეთი ადამიანი მსუბიჯედი, ომბივად დგას მიწზე, პირდაპირ ნაკვთა მის სკვპს...  
...მუზეუმისათვის სიხარული და მისი შრიფის მკვლელსაც ეველა თვალსაჩინოვ ხელდა.

ნათლა გომრამიანი.

...სენია დაკარგა და ახლა მთლად ყრავა, ხელნაწილი დაღის, თმ-ცა არც იღო მწირობა.

...მასწავლებლის მასხვი ბი-ბოსავლის პირდაპირ სკვპის სოფლის მკვლელის ეყო. ცხილდა, ის ეს მიხეტი ქალი, პარკში იყო ამ შეხება.

...ნამუდღევე სამხა მეგობარ-მა რიფთა მოყარა თავი, ქალი მისი ბრანში მიიღებენ და ხარო დარცინა...  
...გვირგვინი შეხება მუზეუმის მკვლელის ვეგვილობის კვილასა დათხრობა ბავშვებს კარ-ის წინ აღათო.

...სეთვე, ვინ მოიტარა? — ამ ფოტოებში იყო გვირგვინი...  
...რომ უკვე ავადმეიკოსი ჩავე-ბული გამოვიდა, გავიგებოდა მუზეუმი დათხრობის მთავარი...  
...ეწინებმა მასწავლებელ მ...  
...კვიბის მასწავლებელი...  
...როგორვი არა? — მთე-ვი მამ. — დეპოთ, ვინახავთ კვიცი ამ მინე დღეების შექ-მდე თმა სულ გათუთობდა,

ნათლა გომრამიანი.



### თბილისური ფრაგმენტები

უსაზღვრო სიხარული მოჰგვარა თბილისელ პატარებს ყველაზე კოლორიტული არსების — ტროპიკული სპილოს ჩამოსახლებაში ზოოლოგიურ პარკში. და ატყდა იმთავითვე აუიოტაუი საღამოს გაზეთების ფურცლებზე, არიქა, სრულუფლებიანი „მოქალაქის“ პასპორტი ხომ შევუვსეთ და ჩავწერეთ თბილისში, ახლა ჩვენებურადაც მოვნათლოთო. საინტერესო იყო, თუ რომელი სახელი გაიმარჯვებდა მკითხველთათვის გამოცხადებულ კონკურსში. პოდა, ადგენენ, ამხელა ყურადღებით ფრიად განცვიფრებულ არსებას ქვეყნის ბარათები დაუყარეს ზედ ხორთუმის წინ და რომელსაც პირველად დასწვდა გულუბრყვილო ფიზიონომიდან გამოცოცხლებული დამატებითი მოქნილი კიდური, სწორედ ის გახსნეს, გაშალეს და...

ბა-ჩო!... ბა-ჩო! — მოედო ნორჩთა სამყაროს ალერსით გამთბარი სახელი.

ბაჩოს ეფერებოდა... უმასპინძლებიან ტკბილულთ.

ბაჩო უყვართ... ენდობიან, რადგან თავად ბაჩოც, ნაღდად ასეთივე ნდობითა და სიყვარულით შემკული მადლიერებით უპასუხებს პაწია მეგობრებს. და განა კეთილშობილების გარდა სხვა რა უნდა გააღვიძოს მცირეწლოვანთა და არა მარტო მცირეწლოვანთა შორის, იმგვარაღმა ურთიერთობამ, როდესაც ადამიანური მოდგმისა და ცხოველთა სამყაროს ღირსეულ წარმომადგენელთ დება-ბუნების წინაშე ერთობლივი თავშექცევით გაულამაზებით ყოფიერება!

დახედეთ „ბაჩოს“ დაბადების დღის აღსანიშნავი ზეიმის ამსახველ ფოტორეპორტაჟს, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კავკასიძემ გადაიღო და დარწმუნდებით:

გინდ კაცი იყავ, გინდ — სპილო, გინდ ბავშვი, გინდაც — მოხუცი, სასიხარულო ამბავს სწორედ სასიხარულოდ მიიღებ. თავშესაქცევს — თავშესაქცევად, ხოლო მადლიერებას მადლიერებითვე უპასუხებ.

### ნავროზის მკურნალობა სათაფლიის მღვიმეში

წყალტუბოდან ექვსი კილომეტრის დაშორებით არის კარსტული მღვიმეები, რომლებსაც დღეს აქტიურად იყენებენ სამკურნალო მიზნით.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი პაციენტებისათვის ითვალისწინებს სამკურნალო სეანსების კურსს მღვიმეებში.

ბრონქიალური ასთმით დაავადებულლებზე, რომელთა შორის ბევრი ბავშვია, განსაკუთრებით სასიკეთოდ მოქმედებს მღვიმის მიკროკლიმატი; ტემპერატურა მღვიმეებში წელიწადის ყველა დროს მუდმივია და 10-12 გრადუსს არ აღემატება.

გამოქვაბულში შექმნილ მიკროკლიმატს საკმაოდ ფართო სპექტრით იყენებენ ზოგიერთ ფიზიოლოგიურ და ნერვულ მოშლილობაზე ზემოქმედებისათვის.



ფოტო ვლადიმერ გულაძისი

კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ ხატიაშვილი და ოთარ შავიანიძე იკვლევენ ავადმყოფთა მდგომარეობას მღვიმეში მკურნალობის სეანსის დროს.



ჩილეს დიქტატორმა პინოჩეტმა უარი ვერ უთხრა თავის ამერიკელ მფარველებს და საავარიო აეროდრომად გადასცა კუნძული პასხი. ამ კუნძულზე ახაფრენ-დასაფრენი ბილიკები ხუთ კილომეტრზე იწელებოდა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამხედრო ნავსადგურის აგებაც. დადგება ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც საშუალებას მისცემს სარდლობას, უხელმძღვანელოს არა მარტო იძულებით დაფრენებს, არამედ თანამგზავრთსაწინააღმდეგო იარაღის გამოყენებაც. პენტაგონში სულაც არ აღელვებთ იუნესკოს სპეციალისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ კუნძული პასხი — „ღია ცის ქვეშ მოქმედი“ მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული მუზეუმი.

\* \* \*

ნორმალური წონის შენარჩუნებასთან, უმარილო დიეტასთან და ცხოველ მოძრაობასთან ერთად, ექიმები რეკომენდაციას უწევენ ნიორს, როგორც საუკეთესო ბუნებრივ საშუალებას ათეროსკლეროზისა და მაღალი წნევის თავიდან ასაცილებლად. რამდენადაც არასასიამოვნო სუნის გამო შეუძლებელია ნიორის რეგულარული გამოყენება, დასავლეთ-გერმანელმა ბიოლოგმა კ. ლისტერმა ნიორის ბაზაზე დააყენა მედიკამენტი „კვაი“, ზუსტად იგივე ეფექტს რომ ახდენს.

\* \* \*

ინგლისელთა ახალ გატაცებად იქცა ნოსტალგია საუკუნის დასაწყისის სინდრომადელი ავტომობილების გამო. ვინაიდან აუთენტური ავტომობილები ძალიან ძვირი ღირს, დაახლოებით ასი მომცრო საწარმო შეუდგა პლასტმასიდან ძარებისა და ცალკეული დეტალების ზუსტი ასლების დაშადებას, ხოლო ასეულობით ინჟინერი, ტექნიკოსი და დიზაინერი უზრუნველყოფს მათ აწყობას. 300 ცხენისძალიანი ძრავის მქონე პლასტმასის ავტომობილები ელვის სისწრაფით დაჰქრიან გზატკეცილებზე, მაგრამ მცირე სიმძლავრეთა მანქანების წარმოება ძირითადად ხელმოკლე ენთუზიასტებისთვის არის გამიზნული. ისინი შეფუთულად მიიღებენ ავტომობილის დეტალებს, შემდეგ კი იმოქმედებენ პრინციპით: „თავად ააწყე!“

\* \* \*

ფილმი „მე ძალიან ახალგაზრდა ვარ სასიკვდილოდ“, ბოლო თვეების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ კინონაწარმოებად ითვლება. იგი მოგვითხრობს ორი ახალგაზრდა შეყვარებულის ტრაგიკულ თავდასაზავს. მთავარი გმირი, ახალგაზრდა ქალი „შიდისი“ — შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომით არის დასნეუ-

ლებული. ამ როლის შემსრულებელმა უაკლინ დანონმა კინომსახიობის ტიტულის გარდა ნიჭიერი მსახიობის სახეობა მომღერლის სახელიც მოიხვეჭა. ამბობენ, თეატრალურ სცენაზე გამოსასვლელადაც ემზადებაო.

\* \* \*

ფილიპინის კანონებით იკრძალება 15 წლამდე ბავშვთა შრომითი დატვირთვა. მაგრამ ძველი ადამ-წესების თანახმად თევზის ტერაში აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა ბავშვებმა, რადგან ბავშვის ხელით გაშლილი ბადე სიუსხვით დალოცვილი ყოფილა. დღემდე ყოველი გემის ეკიპაჟში ირიცხებიან მცირეწლოვანი მყვინთავები, ყოველგვარი დამზღვევი მოწყობილობის გარეშე რომ ჩადიან დიდ სიღრმეზე და წყალქვეშ სარეკორდო დროს ახანებენ. უბედური შემთხვევები ხშირად თანსდევთ ბავშვებს, მაგრამ ამ თავისი საშიში საქმიანობის საფასურად წლიურად სამას დოლარსაც იღებენ, რაც არცთუ იშვიათად მათი დატაკი მშობლებისთვის ხაქმად სერიოზული ხელის გამართვაა.

\* \* \*

ბოლო დროს ვიდეოტექნიკის ფართოდ იყენებენ საქორწინო ბიუროებიც. მათ განკარგულებაშია მოკლე-მოკლე ფილმებიანი ვიდეოკასეტები, რომლებიც შეიცავენ იმ კანდიდატთა პორტრეტებს, თვითონვე რომ ჰყვებიან საკუთარ თავზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, აყენებენ მოთხოვნებს. ამ ოპტიკური მატრიონიალური მაქანკლობის ბიზნესი მთელს მსოფლიოს აშშ-დან მოედო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრავლდება ფირმები, რომელთაც შეუძლიათ დაიკვებონ ჩინებული შემოსავლით: 25 ვიდეოფილმის დემონსტრაციისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ქორწინების მოსურნე-კანდიდატურებს, მიუხედავად იმისა „ჰეპი-ენდის“ ტაქსა 3.990 მარკას შეადგენს.

\* \* \*

მდინარე აიასტას ველზე ჩატარებული გათხრების დროს, იტალიაში, აღმოაჩინეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით დათარიღებული გიბის მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს 13 სანტიმეტრის სიგრძის ღარებიან ბრინჯაოს დაფას. ამ ღარებზე რიგებად მოძრაობენ დილები, განაწილებულნი ერთიანიდან ერთ მილიონამდე ათწილადი სისტემათ. სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული არქეოლოგიური ნაპოვნი ჩინებული დამზარებელს ეკუთვნის, რომელიც აშკარად მოწმობს რომაელთა მეტრ ზუსტი მექანიკის სფეროში მიღწეულ მაღალ დონეს.

\* \* \*

1980 წელს ენთუზიასტთა ჯგუფის მიერ შექმნილი უნგრული „როკ-თეატრი“ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიულ დასად ითვლება დღეს. ბოლო, უახლესი წარმოდგენის სახელწოდებაა „ვარსკვლავთშემქმენი“. დადგმა ჩვენი დღეების აქტუალურ, მწვავე პოლიტიკურ პრობლემებს ეხმიანება. ამათრახებს ძალაუფლების უნის, ტირანულ სისასტიკეს, სიციხეში მისულ დესპოტიზმს, რომელთაც განასახიერებენ ნერონი, კალიგულა, პიტაგორი. სპექტაკლი მსმენელთ განაწყობს სიყალბის, სიმუხთლისა და ფარულ ინტრიგათა წინააღმდეგ.

ნერონის როლის შემსრულებელი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ტიბორ სოლნიკი ამბობს:

— მე მოწონს როკ-მუსიკა... რისხვით შეპურობილი ახალგაზრდების მუსიკა, იმ თაობის მუსიკა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, სამყარო უკეთესობისკენ შეაბრუნოს და გარდაქმნას. მთელმა საშემსრულებლო დასმა უმაღლეს დონეზე აიყვანა სიმღერა, დიქცია, კლასიკური ცეკვა და ჯაზ-ბალეტო.


\* \* \*

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბავშვთა დაცვის კავშირის თავმჯდომარემ პროფესორმა ვალტერ ბერშმა ქვეყნის პატარა მოქალაქეებისადმი უმსგავსო დამოკიდებულების თავზარდამცემი შედეგები შეაჯამა: „პოლიციაში ყოველწლიურად აღირიცხება დაახლოებით 80 ათასი შემთხვევა, როდესაც სასტიკად ეპურობიან ბავშვებს, მაგრამ ამ შემთხვევათა ნამდვილი რიცხვი დღეს, ნაღდად, მილიონნახევარს გადააჭარბებს. ყოველწლიურად ექვსი ათასი ბავშვი იღუპება მშობელთა ცემატყეპისგან და ძალად შიმშილისაგან; 10 ათას გოგონას და ბიჭუნას აძევებენ სახლიდან მშობლები, 700 ბავშვი თავს იკლავს და კიდევ ამაზე ათჯერ მეტი რაოდენობა — ლამობს მოისწრაფოს სიცოცხლე; ყოველი მეექვსე სკოლის მოსწავლე აუცილებლად იღებს რომელიმე ნარკოტიკს; არსად მსოფლიოში არ ხდება იმდენი საგზაო შემთხვევა ბავშვებთან დაკავშირებით, რამდენიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში...“ ანკეტის შეესებისას მშობელთა 85 პროცენტმა განაცხადა, რომ აღზრდის ეფექტურ საშუალებად მიაჩნიათ ფიზიკური დასჯა.

\* \* \*

მოდა საეკლესიო ტანსაცმელზე და აქსესუარებზეც ვრცელდება და ამის დამკანონებლები არიან ქმები სლაბინკები. მათი მანუფაქტურული საწარმო ბელგიის ქალაქ ბრიუგეში მხოლოდ შეკვეთებით მუშაობს. დღემდე ქმებმა ძვირფასი და ოქროთი მოქარული ქსოვილის მოდელების ათი ათასი პროექტი შექმნეს. საკუთარი კლიენტებისთვის — ჰონკონგიდან და სინგაპურიდან ავსტრალიამდე და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამდე — ყოველწლიურად 250 ათასიანი ტირაჟის კატალოგს უშვებენ ხუთ ენაზე და სცემენ, აგრეთვე, სპეციალურ კატალოგსაც ლითონისა და ეკლესიისთვის. საეკლესიო მოდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დღესაც კმაყოფილებით იხსენებენ იმ ფურორს, რომელიც მოახდინა პაპ იოანე პავლე მეორის მოსახსნაში, სპეციალურად პოლონეთში მისი ვიზიტისათვის რომ შეუკვეთეს...

გომგადებადგულია უცხოეთის ინფორმაციული სააგენტოებისა და შურნალ-გაზეთების მასალების მიხედვით.



**თარაზულად:** 7. სამხაველო იარაღი; 8. სახელმწიფოს ფულადი დახმარება; 9. გამოჩენილი საბჭოთა ალბინისტი; 10. იტალიელი ანტიფაშისტი მწერალი; 12. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 15. შაჰრიან წყალში მოხარული სხვადასხვა ხილი; 17. ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭრის წამოსახსამი; 18. მგოსანი მუსლიმანურ ქვეყნებში; 19. პატარა მტაცებელი ცხოველი; 22. მოსალოდნელი საფრთხე, საშფოთობა; 23. საგნების, მოვლენების განსახილველი შეხედულება, თვალსაზრისი; 25. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის; 27. მოვლენის, ცნების ან საგნის მეზობლობის შედეგად ერთი სახელწოდების მეორეთი შეცვლა; 29. არაქვირფასი ქვებისა და ლითონის ნაკეთობის სამკაულები; 31. შუქფარი; 32. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან.

**შვეულად:** 1. ვულკანის მოქმედების შედეგად დედაშიწის ხილრიდან ამოტუორცილი გამძნარი სილიკატური მასა; 2. ხელოვნების მუზეუმი მადრიდში; 3. ქართველი მწერალი—მთარგმნელი; 4. რიურაჟი, განთიადი; 5. ჭუჭა სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე; 6. ამა თუ იმ სამინისტროს მეთაური; 11. წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწკვეტი; 13. ქართველი კინომახიობი ქალი; 14. ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე; 15. ადმინისტრაციული, სათათბირო ან განმკარგულებელი ორგანოს შემქმნელ თანამდებობის პირთა ჯგუფი; 16. დიდი შენობის მთავარი შესასვლელი, ბჭე; 20. რუკაზე, გეგმაზე ან ნახაზე მოცემული საზღვრის სიგრძის შეფარდება ამ საზღვრით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან; 21. პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ლიტერატურულ ნაწარმოებში; 24. ბგერის თვისება, ელფერი; 26. სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი; 28. როკი, კორძი; 30 კანაფის ან ფოლადის ბაგირი, გვარლი.

შეადგინა მარია პრისთაშვილი.

**მეამკვან ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 5. შტოში; 6. კვერი; 8. დელეგაცია; 18. კანოე; 16. პაქტი; 17. ტერმინი; 18. პერუ; 19. გოია; 20. მუზა; 21. იარი; 22. მარე; 25. ლალი; 27. ეშელონი; 28. კორტი; 29. ატენი; 32. კომბინატი; 35. მადლი; 36. ტემპი.  
**შვეულად:** 1. კორეა; 2. რიდე; 3. სკრა; 4. ხესია; 7. ატაში; 9. გეგმა; 10. ფეტრი; 11. დოკუმენტი; 12. მარგალიტი; 14. დემარში; 15. ინდიანა; 23. ანოლი; 24. ფლოტი; 26. ლანდი; 30. ფონდი; 31. ატამი, 33. ბაია; 34. ნოტა.

გადაეცა წარმოებას 1. 06. 87. ხელმოწერილია დასაბჭვლად 30. 06. 87. უე 05953 ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფეტური წესით. ფოტოჟური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღარიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 1898. ფასი 35 კაპ. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси. 8. по. Руставели, 42.

ამ ცოტაოდენი ხნის წინათ, კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სპეციალური მუსიკალური სკოლის XI კლასის მოსწავლის, ნორჩი პიანისტის თეა ჭკუასელის კონცერტი (პედაგოგი — ლია გოგაძის კლასი).

სარეცენზიო კონცერტის პროგრამაში შედიოდა მეტად რთული და ძნელად შესასრულებელი ნაწარმოებები.

ნორჩი პიანისტის მიერ შესრულებულმა ბაზის პრელუდიამ და ფუგამ დაგვარწმუნა, რომ თეა კარგად ფლობს პრაქტიკულად ყველა სირთულის მკაფიოდ გამომსახველობის ტექნიკას. მსმენელი მოხიბლა მოცარტის სონატის შესრულების უბრალოებამ, გულწრფელობამ და ფრაზის მოწოდების მანერამ. არტისტული ტემპერამენტით აუღერდა ტექნიკურად რთული შოპენის ეტიუდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვერდი-ლისტის „რიგოლეტოს“ ისტატური გადმოცემა. ტექნიკურად სრულყოფილად შესრულდა ლისტის ქრომატიული ეტიუდიც.

საბოლოო დაგვარწმუნა, რომ თეა ჭკუასელი მზარდი პიანისტი. თეა წელს ამთავრებს მუსიკალურ ათწლედს და აკადემიის გასავლელი დიდი გზა მას ჯერ კიდევ წინა აქვს.

**ნატო მაგისაშვილი,**  
მუსიკათმცოდნე.

**ყ უ რ ა დ ე ბ ე ა !**

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავთ: თითოეულ თქვენთაგანს ნებისმიერ დღეს და ნებისმიერი ვადით შეუძლია გახდეს უურნალ „დროშის“ ხელმომწერი.

ხელმომწერა შეგიძლიათ გააფორმოთ კავშირგაბმულობის ადგილობრივ განყოფილებაში ხელმომწერის ყოველი წინა თვის პირველ რიცხვამდე.

„დროშის“ სექტემბრის ნომრის მიღებისათვის ხელმომწერა 1 აგვისტომდე უნდა გააფორმოთ, ხოლო ოქტომბრის — 1 სექტემბრამდე და ა. შ.

ხელმომწერების ფასი 3 თვით — 1 მან. და 5 კაპ., წლიური — 4 მან. და 20 კაპ.

ხელმომწერაზე უარის თქმის თითოეული ფაქტის შესახებ გვაცნობეთ.

გარეკანის პირველ გვერდზე: **თავისებური**. ფოტო ფელიქს კრიშკისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე: **პაშაშვილი**: ფოტო თარხან არჩვაძისა.

**რედაქციის მისამართი:**  
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნო — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



0683360 76056

